# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 5 ნოემბერი 1999 №213 (986) | ფასი 50 თეთრი


## 3 საქართველო კვიპროსით დაიწყებს

თებერვალში ეროვნულ ნაკრებს სამი მატჩი ელის

## 5 დღეს კენჭისყრაა

ჟენევაში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მონაწილეებს დააწყვილებენ

## 12 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



თემურ ხუბულური

## სამხრეთ აფრიკა მესამეა

ხვალ პირველს გავიგებთ



იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი



# გიორგი ქინქლაძე: დავისვენე, ინგლისში ვარ!



ინტერვიუ გიორგი ქინქლაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე

# ქართველებიდან ორიღა შერჩა

UEFA CUP

უეფას თასის გათამაშებას ორი ქართველიღა შერჩა — ნიუკასლელი თემურ ქეცბაია და აიაქსელი შოთა არველაძე. თუმცა ამათ, ისევე, როგორც ლოკომოტიველ ზაზა ჯანაშიას, წუხელ ტრავმის გამო არ უთამაშიათ. ციურიხელებმა გოჩა ჯამარაულმა და მიხეილ ყაველაშვილმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს, გოჩამ გოლიც გაიტანა, მაგრამ მათი „ციურიხი" ქეცბაიას „ნიუკასლთან" 1:3 დამარცხდა

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

იუვენტუსი — ლევსკი 1:1. ტურინელი ედგარ დავიდსი (№26) ბულგარელთა გარემოცვაში

## უეფას თასი. მეორე ეტაპი.
II წრე. 4 ნოემბერი

UEFA CUP

სელტა (ესპანეთი) 2:0 არისი (საბერძნეთი) (2:2)
1:0 ჯოროვიჩი (65), 2:0 ტურდო (90)

მონპელიე (საფრანგეთი) 0:2 დეპორტივო (ესპანეთი) (1:3)
0:1 მაკაი (45), 0:2 პაულეტა (83)

ლეგია (პოლონეთი) 1:1 უდინეზე (იტალია) (0:1)
1:0 ჩერეშევსკი (10), 1:1 სოსა (41)

ვიკინგი (ნორვეგია) 2:2 ვერდერი (გერმანია) (0:0)
1:0 ბერლანდი (3), 1:1 ვიდენერი (43), 1:2 ჰერცოგი (63), 2:2 დადასონი (84)

ლაუტერნი (გერმანია) 2:0 ტოტენჰემი (ინგლისი) (0:1)
1:0 ბუკი (89), 2:0 ქარი (90 ს.კ.)

ვესტ ჰემი (ინგლისი) 0:0 სტიაუა (რუმინეთი) (0:2)

იუვენტუსი (იტალია) 1:1 ლევსკი (ბულგარეთი) (3:1)
0:1 ათანასოვი (15), 1:1 კოვაჩევიჩი (79)

აიაქსი (ჰოლანდია) 0:1 ჰაპოელი (ისრაელი) (3:0)
0:1 როსო (60პ)

ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:3 პარმა (იტალია) (0:1)
0:1, 0:2, 03 დი ვაიო (11, 42, 43), 1:3 სტავრუმი (86)

ნანტი (საფრანგეთი) 4:0 ინტერი (სლოვაკეთი) (3:0)
1:0 სიბირსკი (48), 2:0 მონტერუბიო (61), 3:0 დევინო (73), 4:0 და როჩა (82)

ნიუკასლი (ინგლისი) 3:1 ციურიხი (შვეიცარია) (2:1)
0:1 ჯამარაული (17), 1:1 მარიჩი (33), 2:1 ფერგიუსონი (58), 3:1 სპიდი (61)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 გრაცერი (ავსტრია) (1:2)
1:0 პფლიფსენი (90პ)

ამიცა (პოლონეთი) 1:4 ატლეტიკო (ესპანეთი) (0:1)
0:1 პასელბაინკი (30), 1:1 იაკევიჩი (34), 1:2 კაპდევილა (44), 1:3 ბაგრახა (45), 1:4 კორეა (85)

ლოკომოტივი (რუსეთი) 0:3 ლიდსი (ინგლისი) (1:4)
0:1 პარტი (15პ), 0:2, 0:3 ბრიჯესი (28. 45)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0 სლავია (ჩეხეთი) (1:3)
1:0 იაკინი (76)

ბენფიკა (პორტუგალია) 4:1 (პენ.) (1:2) პაოკ (საბერძნეთი) (2:1)
1:0 კანდაუროვი (25), 1:1 მარანგოსი (28) 1:2 საბრი (44)

რომა (იტალია) 1:0 გიოტებორგი (შვედეთი) (2:0)
1:0 ფაბიო ჟუნიორი (88)

მალიორკა (ესპანეთი) 3:0 ტეპლიცე (ჩეხეთი) (2:1)
1:0 ნადალი (30), 2:0 ი. სტანკოვიჩი (57), 3:0 ნინიო (68)

სელტიკი (შოტლანდია) 0:1 ლიონი (საფრანგეთი) (0:1)
0:1 ვერელი (18)

ვიტესი (ჰოლანდია) 1:1 ლანსი (საფრანგეთი) (1:4)
1:0 კრეეკი (64), 1:1 ბლანშარი (90)

REUTERS მონტაჟი



მონპელიე — დეპორტივო 0:2. დეპორტივოელი მაურო და სილვა (მარჯვნივ) და ერიკ დეკრუა

პატარა გენიოსი დაბრუნდა, ქინქი პრემიერლიგაში ითამაშებს.
პრემიერლიგას ერთი ჩინებული ფეხბურთელიც შეემატა.
ქომაგი დატკბება ქართველი ქინქლაძის ბრწყინვალე თამაშის [illegible]
ქინქლაძე „დერბის" ნევრია, ის ინგლისში ჩამოვიდა...
ორიოდ დღის წინ ამბობდა ტელეკომპანია SKY-ის წამყვანი, ორიოდ დღის წინ [illegible]
[illegible]

პრემიერლიგას ბრილიანტი დაუბრუნდა — ესეც ითქვა.
„აიაქსიდან" გიორგი ქინქლაძის „დერბი ქაუნთიში" განათხოვრებამ თითქმის მთელი ევროპა აალაპარაკა.
ახლა თავად გიომ იცის. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ბოლო მოეღო მის პრობლემებს, არადა, დრო იყო...
ერთხელ გიომ მითხრა: დავიღალე, აღარ შემიძლია, ვვარჯიშობ, ყველაფერს ვაკეთებ, „აიაქსიდან" ჩემს წასვლას კი საშველი არა და არ დაადგა. ერთი ორჯერ გუნებაში ისიც გავიფიქრე, ფეხბურთს თავი ხომ არ დავანებო-მეთქი. — ეს რამ გაფიქრებინა? — ვკითხე. აბა, როგორია, კლუბის წევრი იყო, არაფერი განუხებდეს, თამაშით კი თითქმის წელიწადი არ ითამაშო. გული აგიცრუვდება კაცს — დარდიანად მიპასუხა, თუმცა იქვე დააყოლა — იმედით ვცოცხლობთ, ხელის ჩაქნევა არ მჩვევია, ადრე თუ გვიან მაინც დავტოვებ ჰოლანდიასო.
ის „ადრე თუ გვიან" 1999-ის ნოემბერი გამოდგა. ყველაზე რეალური გიოს ინგლისის პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედში" გადასვლა რომ გახლდათ, ჩვენებური გასულ უქმეებზე პრემიერლიგის „დერბი ქაუნთს" შეუერთდა.
გიორგი ქინქლაძემ ნადილი აისრულა — ინგლისში ითამაშებს.
გიომ პირობაც შეასრულა — ახალ გუნდში გადავალ და ინტერვიუც მაშინ იყოსო...
გიო დერბიში, შინ იყო, კარგ ხასიათზე, ეტყობოდა, უხაროდა პრემიერლიგაში დაბრუნება.

# გიორგი ქინქლაძე: დავისვენე, ინგლისში ვარ!

## დერბის სტადიონს 7000 სკამი მიამატეს — ქინქლაძე ჩამოვიდაო

— როგორც იქნა, დავისვენე, ახლა კმაყოფილი ვარ, კარგი გუნდია, კარგი ატმოსფეროა — გვითხრა გიორგიმ — ყველა პრობლემა ფაქტობრივად მოგვარებულია. ერთადერთი, სანამ „დერბის" მაისურას მოვირგებ, ინგლისში მუშაობის ვიზა მჭირდება. ამას დაახლოებით სამი კვირა სჭირდება, მანამდე კი თავდაუზოგავად ვვარჯიშობ.

**— „შეფილდი" რომ გეპატიჟებოდა, „დერბიში" როგორ აღმოჩნდი?**

— ვერაფერს გეტყვი. თითქოს მართლაც გადაწყვეტილი იყო ჩემი „შეფილდში" წასვლა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად დერბიდან დამირეკეს, შეხვედრა მთხოვეს, „აიაქსი" თურმე საქმის კურსში ყოფილა.

**— მერე?**

— მერე შევხვდი „დერბის" პრეზიდენტსა და მწვრთნელს. მათ თავიანთი თქვეს, მე — ჩემი. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა, „დერბის" პირობებს დავთანხმდი, საწინააღმდეგო არაფერი მქონდა.

**— ის თუ გაარკვიე, რომელ ადგილზე გათამაშებენ? „აიაქსივით" არ მოხდეს.**

— არა, არა. პირველი, რაც მწვრთნელს ვუთხარი, სწორედ ეგ იყო, პირობა მომცა, თანაც დაამატა, შენი ადგილი შუაშია, ვერ გამიგია, „აიაქსში" ფლანგზე რატომ გათამაშებდნენო. ერთი, რაზეც გული ეთანაღრებოდა, ჩემი წონა იყო. მართლა ეგონა, თითქოს 15 კილო მომემატებინოს, თუმცა ვარჯიშისას დარწმუნდა, დამძიმებული რომ არ ვარ.

**— თანაგუნდელები უკვე გაიცანი?**

— თავად მიცნობდნენ. როცა დერბიში ჩავედი, ისე შემომეგებნენ, თავი შინ მეგონა. მგონი, ისინიც კმაყოფილები დარჩნენ ჩემი აქ ჩამოსვლით. ნაცნობი არავინ დამხვედრია, მხოლოდ მსმენია მათ შესახებ. სალმით და მოკითხვით ერთ იტალიელ ერანიოს ვხვდები.

**— „დერბის" ქომაგებს არ შეხვედრიხარ? ქალაქში გცნობენ?**

— რაც ჩამოვედი, ქალაქში ერთხელაც არ გამივლია, ბაზა და სახლი, სხვა ჩემთვის არაფერი არსებობს. დღეში ორჯერ ვვარჯიშობ. სპეციალურად ფიზიკური მომზადებისთვის მწვრთნელიც მომამაგრეს, ისე ვილლები, ყველაფრის ხალისი დაკარგული მაქვს. „დერბის" ქომაგებისთვის კი კლუბის ხელმძღვანელობამ სტადიონის ტრიბუნას 7 ათასი სკამი მიამატა. როცა ჩამოვედი, „პრაიდ პარკი" დამათვალიერებინეს, ერთ სექტორში სკამები მეჩხერად იყო განლაგებული და სწორედ ამაზე გაამახვილეს ყურადღება, ზეგ ამ ადგილებს შევავსებთ, ხალხი ელის შენს თამაშსო, ასე მითხრეს. ჰოდა, დაამატეს სტადიონს 7 ათასი ადგილი. გაზეთებშიც ყოველდღიურად ჩემზე იწერება — დაბრუნდაო, ამბობენ აქაური ჟურნალისტები.

**— მანჩესტერელი ფანები რას ამბობენ? შენ ხომ მათი კერპი იყავი.**


„აიაქსიდან" „დერბიში" გიორგი ქინქლაძე ახალი იმედებით წავიდა

— პირველსავე ვარჯიშს „დერბის" ბაზაზე ათასამდე ქომაგი დაესწრო. ვვარჯიშობდი და მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია, „ქინქი, ქინქი" — ჩამესმოდა ყურში. მერე, როცა მოვიცალე და მათ მივუახლოვდი, პირი ღია დამრჩა, უმრავლესობა მანჩესტერიდან ჩამოსულიყო, ცისფერ მაისურებში გამოწყობილიყვნენ.

**— არ გილაპარაკია?**

— როგორ არა, ნახევარი საათი მათთან ვიყავი. ახლა ხომ „სიტი" პირველ დივიზიონს ლიდერობს... სათქმელი ბოლომდე არ თქვეს, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, არ ესიამოვნათ „დერბიში" რომ გადმოვედი. ისე კი მითხრეს, მთავარია, ინგლისში რომ ჩამოხვედი, შენი თამაშების ნახვის საშუალება ხშირად გვექნება, ჩვენ „დერბის" ვუქომაგებთო.

**— „დერბის" თამაშებს ჯერ არ დასწრებიხარ?**

— მხოლოდ ტელევიზორში მინახავს და როცა „ნიუკასლთან" წააგეს, ვიფიქრე, ძალიან ცუდი გუნდია-მეთქი. მაშინ „დერბიში" გადასვლაზე ლაპარაკიც არ იყო. მერე კი „ჩელსისთან" მოგებული მატჩი ვნახე. მთლიანად შემეცვალა წარმოდგენა. დავრწმუნდი, კარგი, ნორმალური გუნდია, მწვრთნელიც ჩინებული. იცის, რა როდის გააკეთოს.

ინგლისიც ამით მიზიდავს — მცოდნე მწვრთნელებითა და ბევრი მოულოდნელობით, კაცური თამაშით.

**— პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ? ჯერჯერობით გავარდნის საფრთხე გემუქრებათ...**

— არა მგონია, გავვარდეთ. „დერბი" არ არის პირველი დივიზიონის გუნდი. თანაც უახლოეს მომავალში რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებენ. მწვრთნელი ამბობს, კარგი მცველები მჭირდებაო. სმიტი ლიგიდან გავარდნაზე კი არა, იმას ფიქრობს, უეფას თასზე სათამაშოდ დავიბევოთ ადგილი.

**— ნომრიანი მაისურა უკვე გადმოგცეს?**

— ჯერ ადრეა. „დერბის" სრულუფლებიანი წევრი მაშინ ვიქნები, როცა სამუშაო ვიზას მომცემენ. თამაშსაც მაშინ დავიწყებ, სავარაუდოდ, დეკემბრის დამდეგს.

**— და არ გაგიჭირდება? ამდენი ხნის უთამაშებელი ხარ. ინგლისში ხომ ძველ გიოს ელიან.**

— სხვათა შორის, აქაურ ჟურნალისტებსაც ვუთხარი, რომ თვე ან თვენახევარი ჩემგან იმას ნუ მოითხოვენ, რასაც „სიტიში" თამაშის დროს ვაკეთებდი. მართლაც დიდი ხანია, არ მითამაშია, პრაქტიკა მაკლია და ჩვეული ფორმის აღდგენას დრო სჭირდება.

**— ესე იგი, თავიდან იწყებ...**

— მთლად თავიდან არა...

კობა ინასარიძე

# ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა



გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგას დაუბრუნდა

ᲐᲓᲠᲔ, წლების წინ იტყოდნენ-ხოლმე ჩვენში — მეტრეველი ფეხბურთის მოცარტიაო. მესხზეც ამბობდნენ — თუ მეტრეველი მოცარტია, მაშინ მესხი ბეთჰოვენიაო და თქვენ წარმოიდგინეთ, არავინ დაობდა. ფეხბურთელს კომპოზიტორს ადარებდნენ და არავინ კამათობდა.

მაშინდელი ფეხბურთი ხელოვნება იყო.

ახლა, როცა უცქერ პირველიდან ბოლო ცენტამდე გათვლილ ფულის მანქანას, თანამედროვე ფეხბურთი რომ ჰქვია, როცა ყელში გაქვს ამოსული კრეატინით გაჭყეპილი მორბენალი სანახაობა, იმ, „კომპოზიტორების“ ეპოქასაც იხსენებ კაცი და კითხვა გებადება:

არის თუ არა ფეხბურთი ხელოვნება?

კიდეც ჰო და კიდეც არა.

ფეხბურთი ხელოვნებაა მაშინ, როცა მას მარადონა, პელე, მესხი, მეტრეველი, ბექემი, რივალდო თამაშობენ...

ფეხბურთი ვერ იქცევა ხელოვნებად ანჯელო დი ლივიოს, გატუზოს, კოვტუნის, იერემისის ხელში.

ფეხბურთის უბედურებაა, როცა თამაშობენ ვიეირები, გორლუკოვიჩები და ბაჯო ალარავის სჭირდება.

ალარავის სჭირდება იმიტომ, რომ ბაჯოც კომპოზიტორია.

კომპოზიტორს დროც, სივრცეც, მელოდიაც, ჰარმონიაც თავისთვის სჭირდება. მას გუნდიც თავისთვის სურს და მეოცე საუკუნის მიმწუხრი მეტად ცუდი პერიოდია ამეებისთვის.

ახლა ის დროა, როცა კომპოზიტორის ხელის აქნევას სულგანაბული ალარავინ ელის. ახლა ხელის აქნევისთვის კომპოზიტორს ხელს მოაჭამენ.

იერემისი, კოვტუნი, გატუზო, ვიეირა... კიდევ უამრავი. ასეთებით სავსეა ფეხბურთი. ასეთები სჭირდება თანამედროვე ფეხბურთს.

მაგრამ ფეხბურთიც ხომ სჭირდება ხალხს, ქომაგს, გულშემატკივარს. იმათ, ვინც ფულს იხის და მუსიკას უკვეთს.

ცუდ მუსიკაში ფულს ალარავინ გადაიხდის. ეს კარგად იციან კუპიურული ფიქრებით თავგამოტენილმა მენეჯერებმა და ათ დი ლივიოს ყოველთვის შეუთავსებენ-ხოლმე ერთ რუი კოშტას მაინც.

მერე რა, რომ რუი კოშტა არ არის მარადონა. არც ვაგნერი იყო ბახი, მაგრამ როცა მუსიკაზეა საუბარი, ბახთან ერთად ვაგნერსაც მოიხსენიებენ.

აი, დი ლივიოების საქმე კი ცუდადაა — დროსთან მიმართებაში.

ცუდადაა, რადგან არა მგონია, დიდი განსხვავება იყოს კომპოზიტორ და ფეხბურთელ დი ლივიოს შორის.

და მაინც, თანამედროვე ფეხბურთში მომრავლდა ხალხი, ვინც შეხედავს ბაჯოს, ორტეგას, დენილსონს, ტუჩს აიბზუებს, გატუზოს ხელს გადახვევს, კოვტუნს თვალს ჩაუკრავს და ათვალწუნებით იტყვის — მუზიკანტ!

მომრავლდა, მუმლივით მოედო ასეთი ხალხი ფეხბურთს. „აიაქსშიც“ კი შეალიეს და „აიაქსი“, ერთ დროს „ავე მარიასავით“ ფეხბურთის მოთამაშე „აიაქსი“... დღეს ისეთ ფეხბურთს თამაშობს, „ა ტალანტის“ სოლისტის ნამღერს უფრო შეადარებ კაცი და თუ ხანდახან „აიაქსიც“ მღერის „ავე მარიას“, ეს ვოუტერსზე მეტად ბრიან ლაუდრუპის ბრალია. იქ ლაუდრუპია კომპოზიტორი, ვოუტერსი კი ფეხბურთზე შეყვარებული, ფეხბურთს შეჩვეული კაცია, რომელსაც ჰგონია, კომპოზიტორი ერთნაირად დააკვრევინებს „ლა სკალაშიც“ და ჩოხატაურის რაიონულ ოლიმპიადაზეც.

მაგრამ საფეხბურთო ბედნიერებებიც არსებობს.

არსებობს პრემიერლიგა, სადაც ყველაზე უკეთ თამაშობენ, იციან, ესმით, გრძნობენ ფეხბურთს. ბოლოს და ბოლოს, სადაც ფეხბურთი მოიგონეს.

თუ იქ დაგაფასეს, მორჩა, გათავდა, სხვა ჯილდო არ გინდა ფეხბურთელს.

ბედნიერებაა, რომ ერთი ქართული საფეხბურთო ბედნიერებაც გაჩნდა.

გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგაში ითამაშებს ისევ.

თანამედროვე ქართველებში ქინქლაძე ყველაზე მეტადაა კომპოზიტორი. ყველაზე ადრეც მან შეიქმნა ვარსკვლავური იმიჯი და ყველაზე მეტადაც მას გაუჭირდა, მაგრამ...

არსებობს პრემიერლიგა. არსებობს „დერბი ქაუნთი“. არსებობს ინგლისი.

ინგლისი, სადაც ყველაზე უკეთ იციან კომპოზიტორების ფასი.

**ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲩᲕᲘᲚᲘ**

# გიორგი ქინქლაძე ნომერი 20?

## ქართველი აფრთხილებს ყველას, რომ ჰოლანდიაში სათამაშოდ არ წავიდნენ. აიაქსის მწვრთნელი ბობი ჰაარმსი ამ განცხადებით გაკვირვებულია



ბობი ჰაარმსი

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ქინქლაძე 20 ნოემბერს „პრაიდ პარკზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ, ალბათ, 20-ნომრიანი მაისურით გამოვა. ყოველ შემთხვევაში, სხვა ნომრები განაწილებულია. ინგლისში ნომრის ჩამორთმევა კი ერთობ ცუდ ტონად, მიუღებლად ითვლება.

შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კვლავ ეიფორიაშია. გუშინ მან ერთობ გაიხარა „მანჩესტერ სიტის“ გამარჯვებით „პორტსმუთზე“, რამაც ქინქის ყოფილი კლუბის საპრემიერლიგო შანსები ერთიორად გაზარდა. „მანჩესტერში ახლაც მაქვს სახლი. იქ დიდებული წლები გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დივიზიონშიც კი დავქვეითდით, ყოველთვის მშვენიერი განწყობა მქონდა. ახლა „სიტი“ ალმავლობას განიცდის და ვამაყობ მისით. იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში „დერბიც“ და „სიტიც“ პრემიერლიგაში ითამაშებენ“ — თქვა ქინქლაძემ.

„დერბის“ მენეჯერმა ჯიმ სმიტმა განაცხადა, უკვე ვმუშაობთ იმაზე, რომ ქინქლაძემ ინგლისში შრომის უფლება მოიპოვოსო. „მას საქართველოს ნაკრებში 75 პროცენტი უგროვდება, რაც ინგლისში მუშაობის უფლების მისაღებად საკმარისია“ — ალნიშნა სმიტმა. „დერბის“ მენეჯერი კმაყოფილია ქინქლაძის ვარჯიშით. „მართალია, იგი ოდნავ მეტს იწონის, მაგრამ ხომ დაიკლებს? ვარჯიშზე ძალიან მომაწონა თავი“ — ალნიშნა სმიტმა.

თავად ქინქლაძემ კი გუშინ მეტად ფრთხილად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები: „ვთხოვ ფანებს, თანაგუნდელებს და მენეჯერს, ერთბაშად ბევრს ნუ მომთხოვენ. დღესდღეობით ჩემი მზადყოფნა შემაშფოთებელია. გასული წლის ნოემბრიდან სერიოზულად არ მითამაშია, ამიტომ ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად მინიმუმ 2-3 თვე დამჭირდება“ — ალნიშნა გიორგიმ.

გუშინვე ქინქლაძემ ერთი ანტიჰოლანდიური განცხადება გააკეთა: „ვაფრთხილებ ფეხბურთელებს, რომ ჰოლანდიაში სათამაშოდ არ წავიდნენ, თორემ სერიოზულად წაიხდენენ ჯანმრთელობას და გაიფუჭებენ კარიერას. ჩემში 5,5 მილიონი გადაიხადეს და შანსიც კი არ მომცეს — არც ოლსენმა და არც ვოუტერსმა. რომ მცოდნოდა, გუნდში ლიტმანენი რჩებოდა, „სიტიდან“ არასოდეს წამოვიდოდი. ჰოლანდიაში არასოდეს ვითამაშებ. არა, ქვეყნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, რაც მოხდა, იმას ვერ დავივიწყებ“ — განაცხადა ქინქლაძემ.

ინგლისურმა „პლანეტ ფუტბოლმა“ ამსტერდამის „აიაქსის“ მეორე მწვრთნელს, ბობი ჰაარმს სთხოვა ქინქლაძის განცხადების კომენტარი: „გაოცებული ვარ გიორგის სიტყვებით. ჩემი აზრით, მისი პრობლემა ის იყო, რომ ვარჯიშებზე არ იხარჯებოდა. ჩვენ აღტაცებული ვიყავით ქინქლაძის თამაშით „მეინ როუდზე“, იქ ქართველი ღმერთი იყო. მაგრამ ჩამოვიყვანეთ და აქ მსგავსიც არაფერი გაუკეთებია, ერთ ჩვეულებრივ მოთამაშედ იქცა. ალბათ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ „აიაქსში“ მას ისეთ რამეს ავალებდნენ, რასაც „სიტიში“ არავინ სთხოვდა. ვთქვათ, დაცვაში თამაშს. ახლა ჩემს თავს ვეკითხები — მზად იყო ქინქლაძე „აიაქსში“ სათამაშოდ? მე მგონია, რომ არა. ვფიქრობ, მან ან ვერ გაიგო, ანაც ყურადღება არ მიაქცია იმას, რასაც ვთხოვდით. არც მისი მენტალური დამოკიდებულება იყო სწორი. ახლა მზად ვართ, იგი 2 მილიონ გირვანქად გავყიდოთ“.

თავად გიორგი კი „დერბიში“ გადასვლით მეტად კმაყოფილია: „მშობლები ჩემს საფეხბურთო კარიერას უკვე დასრულებულად თვლიდნენ, ახლა კი ზარები არ წყდება. ძალიან ბედნიერი ვარ. ბოლოს ასეთ განწყობაზე მაშინ ვიყავი, როცა ზაფხულში საქართველოში ძმაკაცებთან ერთად ვითამაშე ფეხბურთი“.

გუშინვე სმიტმა განაცხადა, რომ „დერბი“ კიდევ სამ ტრანსფერზე მუშაობს. იორკშირელებს სურთ, „ოქსფორდიდან“ კანადის ნაკრების წევრი მარკ ვატსონი, „გლაზგო რეინჯერსიდან“ 1,5 მილიონ გირვანქად 35 წლის კოლინ ჰენდრი და „ბოლტონიდან“ 3 მილიონ გირვანქად ირლანდიის ნაკრების წევრი ეიდურ გუდიონსენი გადაიბირონ.

**ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ**

# საქართველო კვიპროსით დაიწყებს

## თებერვალში ეროვნულ ნაკრებს სამი მატჩი ელის

ᲔᲠᲗ თვეში, 7 დეკემბერს, 2002 წელს იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა შედგება. ბუნებრივია, მასში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას. 7 დეკემბერს საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები გაირკვევიან. შესარჩევი ეტაპი კი მომავალი წლის შემოდგომაზე დაიწყება. მანამდე ნაკრებს ამ თამაშებისთვის მომზადება მართებს, მომზადებისთვის კი რაც შეიძლება ბევრი საერთაშორისო ამხანაგური მატჩის თამაშია საჭირო (და აუცილებელი).

თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამი ასეთი მატჩის გამართვა ჩვენს ნაკრებს უკვე დაბევებული აქვს.

ორიოდე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კვიპროსიდან ფაქსი მოვიდა, 2-7 თებერვალს კვიპროსის ფეხბურთის ასოციაციის მეოთხე საერთაშორისო ტურნირს ვაწყობთ ეროვნულ ნაკრებთა შორის და დიდი სურვილი გვაქვს, თქვენი გუნდიც ვიხილოთ. პასუხს 24 ნოემბრამდე ველითო, მოუწერიათ კვიპროსელებს. ჩვენებიც უახლოეს მომავალში დადებით პასუხს შეუთვლიან, მით უმეტეს, მასპინძლები პირობებსაც ხელსაყრელს გვთავაზობენ, თქვენ მხოლოდ მგზავრობის ხარჯები გაიღეთ, დანარჩენი (ცხოვრება, კვება) ჩვენზე იყოსო, იტყობინებიან ისინი. საბანკო ანგარიშებზე ყადალადადებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა უკეთესს ვეცრ ინატრებდა.

კვიპროსელებმა ტურნირის რეგლამენტიც გააცნეს ქართული ფეხბურთის მამებს. მასში ექვსი ქვეყნის ეროვნული ნაკრები (ერთ-ერთი თავად კვიპროსის ნაკრები იქნება) მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ სამგუნდიან ქვეჯგუფში განაწილდებიან. ჯგუფის გამარჯვებულები ფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მეორე ადგილზე გასულები ტურნირის მესამე ადგილოსანს გამოარკვევენ, ხოლო აუტსაიდერები მეხუთეობისთვის იბრძოლებენ.

ჯგუფური შეხვედრები 23 და 5 თებერვალს გაიმართება, გადამწყვეტი მატჩები კი 7 თებერვალს შედგება. აქედან გამომდინარე, თითოეულ ნაკრებს სამი თამაშის ჩატარება მოუწევს. ტურნირის სპონსორი საქვეყნოდ ცნობილი „კოკა კოლა“ იქნება, რომელიც დღეისათვის კვიპროსის ფეხბურთის ასოციაციის ერთადერთი სპონსორია.

ალსანიშნავია, რომ ამ ტურნირისთვის ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელებს ეს სამი მატჩი ერთ მოწვევად ჩაეთვლებათ (ფიფას წესებით, მოგეხსენებათ, შვიდჯერ შეიძლება ერთი ფეხბურთელის ეროვნულ გუნდში მიწვევა).

როგორც შევიტყვეთ, ამ ტურნირის გარდა საქართველოს ეროვნული ნაკრები კიდევ რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. ფეხბურთის ფედერაციამ ცოტა ხნის წინ ფაქსი გააგზავნა თურქეთში. გინდათ, ტრაბზონში შევხვდეთ ერთმანეთს, გინდათ, ბათუმშიო, შეუთვლიათ ჩვენებს. ასევე შესაძლებელია დანიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარებაც. ნორვეგიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა და იმავე კვიპროსმა კი თბილისში ჩამოსვლაზე წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადეს. მათ ძველი ვალები აქვთ გასასტუმრებელი, რადგან ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე საქართველოს ნაკრები ოთხივეს ესტუმრა. ზემოხსენებული ოთხეული, სავარაუდოდ, თბილისში იმ შემთხვევაში არ ჩამოვა, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენთან ერთად მოხვდებიან.

დაბოლოს ერთიც. ევრო 2000-ისთვის მზადებაც საქართველოს ნაკრებმა უცხოურ ტურნირზე გამოსვლით დაიწყო. 1998 წლის 6-10 თებერვალს მალტაში ჩატარებული ოთხთა ტურნირი ახლადდანიშნული ვლადიმერ გუცაევის დამოძღვრილმა საქართველოს ნაკრებმა მოიგო. მალტაში მოგებული თასი ქართველთათვის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელია.

**ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ლაშა ჯაკობიამ (№16) ბოლოს სლოვენიელი თანატოლების წინააღმდეგ ითამაშა

# ფეხბურთზე დამშეულმა ჯაკობიამ ხილი იგემა

*სად ფეხბურთი და სად ხილიო, იკითხავს დაინტერესებული კაცი, მაგრამ ცოტა მოთმინება და აუცილებლად გაიგებს, ხურმა რა ხილია.*

*რაც შეეხება ლაშა ჯაკობიას, „სტანდარდის" ქართველმა ლეგიონერმა ნამდვილად იგემა ხილი, უფრო სწორად, ხესუს ხილი ხილი, კიდევ უფრო სწორად კი ხესუს ხილი ხილის ხუშტურებს გაუგო გემო.*

*არაფერი შეგეშალოთ, ლაშა ჯაკობია არ არის ფეხბურთელი, ვისაც ხილი ხილის ხუშტურებმა შეიძლება დაუშავოს რამე. უბრალოდ, დონ ხესუსმა „ატლეტიკო B"-ს მორიგი მწვრთნელი დაიფრინა და ლაშა ჯაკობიას „ატლეტიკო B"-ში გადასვლაც ჩაიშალა (მართალია, „ატლეტიკო B"-ს პრეზიდენტი ხოსე ერნანდესია, მაგრამ ხესუს ხილი ხილის გარეშე მადრიდულ კლუბში ბალახზე ჭიანჭველა ვერ გაივლის და უმისოდ მწვრთნელს ვინ რას ეტყოდა).*

*იმაზე კი, რა და როგორ მოხდა მადრიდში, თავად ლაშა უამბობს „სარბიელის" მკითხველს:*

— მადრიდიდან გუშინ საღამოთი დავბრუნდი. სრული ხუთი დღე დავყავი ესპანეთში. ჩემი „ატლეტიკო B"-ში გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, კლუბის მოხელეებთან ერთად უკვე ბინის შესარჩევად დავდიოდი, მაგრამ მადრიდელებმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგეს, პრეზიდენტმა მწვრთნელი თანამდებობიდან გაათავისუფლა და მეც იძულებული გავხდი, უკან ლიეჟში დავბრუნებულიყავი.

**— კი მაგრამ, ახალი მწვრთნელი არ შეიყვანეს საქმის კურსში?**

— როგორც ჩანს, არა. ყოველ შემთხვევაში, ეტყობოდა, რომ ჩემს შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. შეიძლებოდა მისი საქმის კურსში შეყვანა, მაგრამ თუ საჭირო გახდება, ამას თავად კლუბების მესვეურები გააკეთებენ.

**— ლაშა, ვიცით, რომ „სტანდარდში" იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებით, რამ განაპირობა თქვენი „ატლეტიკო B"-სთვის დათმობა?**

— საქმე იმაშია, რომ თითქმის არ მიწევს გუნდის ძირითადში თამაში. ახლა „სტანდარდის" ლიდერებად ზანგი ძმები — მბო და ლოკონდა მპენზები ითვლებიან. ისინი ამპლუით ზუსტად ჩემს ადგილას თამაშობენ და ახალგაზრდა ფეხბურთელს, თანაც ლეგიონერს, არავინ გაამწესებს ბელგიის ეროვნული ნაკრების კანდიდატების ადგილზე. ჯერ ისე არა მაქვს საქმე, რომ მპენზების კონკურენცია დავძლიო და „ატლეტიკო B"-ში გადასვლასაც ამიტომ დავყაბულდი.

ბოლოს და ბოლოს ესპანეთის მეორე დივიზიონში თამაში სჯობს „სტანდარდის" დუბლში თამაშს.

**— „ატლეტიკო B"-ში რომ გადასულიყავი, როგორ პირობებს გთავაზობდნენ?**

— საცხოვრებელ პირობებზე უკვე გითხარით, ხეირიანად ჩასულიც არ ვიყავი და უკვე ბინას მირჩევდნენ. ისე, ვადას რაც შეეხება, 6 თვით მანათხოვრებდნენ. მაისში ლიეჟურ გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და „სტანდარდის" მესვეურები თავად იყვნენ დაინტერესებული, რათა ეს გარიგება შემდგარიყო. თუ თავს გამოვიჩენდი, შესაბამისად მეტი კლუბი დაინტერესდებოდა ჩემით, ალბათ, ტრანსფერიც უფრო ღირებული გახდებოდა და ბელგიელებიც მეტად იხეირებდნენ.

**— მადრიდში თქვენი გადასვლა არ შედგა, მაგრამ...**

— ბევრიც არაფერი. ამის გამო გულს ნამდვილად არ გავიტეხ. ტრავმამ და ოპერაციამ გვარიანად მომანატრა ფეხბურთის თამაში და ძველებურად გავაგრძელებ „სტანდარდის" დუბლში თამაშს. თავის გამოჩენა აქაც შეიძლება, სწორედ აქ შემამჩნია „ატლეტიკო B"-ს მწვრთნელმა. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# იაშვილი ისევ დაშავდა

## დუისბურგს დღეს ქართველთაგან მხოლოდ კობიაშვილი დაუპირისპირდება

დღეს, ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში, „ფრაიბურგი" საკუთარ მოედანზე „დუისბურგს" მასპინძლობს. გადაწყვეტილია, რომ დღევანდელ შეხვედრაში ქართველთაგან კვლავაც მხოლოდ ლევან კობიაშვილი ითამაშებს. ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი მატჩს ტრავმების გამო გამოტოვებენ.

ცქიტიშვილის ამბავი ახალი სულაც არ არის. ლევანი დიდი ხანია, დაშავებულია და ამის გამო ბოლო ექვს მატჩში ვერ ითამაშა. უმძიმესი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული იაშვილი კი ხელმეორედ სულ ცოტა ხნის წინ დაშავდა, თუმცა, საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია. ქართველ თავდამსხმელს ამჟამად მუხლი აწუხებს. ექიმების თქმით, მისი ტრავმა საშიში არ უნდა იყოს, გართულება მოსალოდნელი არ არის. წესით და რიგით იაშვილი მომავალი კვირის შუაში უნდა შეუერთდეს თავის კლუბს.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე იაშვილი

შეგახსენებთ, ამ ტრამვის გამო 22 წლის ქართველმა უკვე გამოტოვა ერთი მატჩი — მეათე ტურში „უნტერჰახინგთან" გასვლით შეხვედრაში ფრაიბურგელები 0:1 დამარცხდნენ. იმ შეხვედრაში (საუკეთესოდ ლევან კობიაშვილი აღიარეს) სტუმრებმა მრავალი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ ივარგეს.

„დუისბურგთან" დღევანდელ თამაშში „ფრაიბურგს" ასევე ტრავმის გამო ვერ დაეხმარება უვე ვასმერი. საეჭვოა ტუნისელი ლეგიონერის, მეჰდი ბენ სლიმანის მინდორზე გასვლაც. ზემოხსენებული სამეულის მსგავსად მასაც ფეხი აწუხებს.

ამ საღამოს გასამართ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზედიზედ სამი მოუგებელი შეხვედრის შემდეგ მეოთხე ადგილზე მყოფი „ფრაიბურგი" ცხრილში ჩამოქვეითდა და აუტსაიდერთა ზონას მიუახლოვდა. „დუისბურგს" კი მიმდინარე სეზონში ჯერ არ გაუმარჯვია და ბოლო საფეხურზე მყოფი, ბუნებრივია, მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება.

**ვანო ოქროპირიძე**

# ქართველების ვაჟკაცობა აბანოში ვერ გამოჩნდა

UEFA REGIONS' CUP
UEFA's regional amateur team competition

დღეს იტალიის პატარა ქალაქ აბანოში ევროპის ქვეყნების მოყვარულ ფეხბურთელთა ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯონი ჯანელიძემ და მისმა შეგირდებმა აბანომდე ვერ მიაღწიეს და ფინალიც ქართველების გარეშე ჩაივლის.

გუშინწინ დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით გავიგეთ B ჯგუფის ბოლო ორი შეხვედრის ანგარიში. ორგანიზატორებმა მხოლოდ ის გვითხრეს, ფინალში მასპინძლები და ესპანელები გავიდნენო. უეფას ეგიდით გამართულ ტურნირს ზერელედ ვერანაირად მიუდგები, მაგრამ ორგანიზატორთა ნათქვამით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ ეს ჩემპიონატი დიდი ვერაფერი შვილი იყო. თუმც უეფა სოლიდური ორგანიზაციაა, მისი თითოეული ნაბიჯი პატივსაცემ-დასაფასებელია და გუშინ დილით ინტერნეტმა ჩვეულ სტილში ჩამოაწიკწიკა რეგიონთა თასის ჯგუფების ბოლო შეხვედრების ანგარიშები და ოქმები.

ფინალში გასასვლელად „თბილისს" აუცილებლად უნდა დაემარცხებინა „კიევი". უკრაინელებს პირველ ადგილზე გასვლის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ მოყვარულ ქართველებთან ერთობ გამოიდეს თავი და მეშვიდე წუთზე ანგარიშიც გახსნეს. მეორე ნახევარში ჯანელიძემ ზაკუტაშვილი შეცვალა კაკაბაძით, თუმც ამას ქართველთათვის ბევრიც არაფერი მიუცია, უკრაინელებმა უფრო გაზარდეს თავიანთი უპირატესობა და კომარმა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ქართველ მოყვარულთა თავკაცი ჯონი ჯანელიძე

მალე მეორე გოლიც გაიტანა ჩაჩიბაიას კარში. გოლს ისევ შეცვლები მოჰყვა თბილისელთა რიგებში, შეცვლებმა კი კომარის მორიგი გოლი და ნათელი გახდა, რომ ქართველებმა არათუ ფინალში გასვლის, არამედ მეორე ადგილის მოპოვების შანსიც დაკარგეს. მატჩის ბოლო წუთები ერთობ დაძაბულად წარიმართა — ჯერ ნოხვინი და გაბიდაური მიაბრძანა მთავარმა არბიტრმა გასახდელში, შემდეგ მათ გზას ხვიჩიაც გაუყენა, წუთით ადრე კი ქეთელაურმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ინგლისელი მაკდონალდის საფინალო სასტვენს შეცვლაზე შესულმა მაქსიმიუკმა დაასწრო, „თბილისს" ერთიც გაუტანა და „კიევმა" 4:1 იმარჯვა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში მასპინძელმა „ვენეტომ" საბატინის გოლებით უპრობლემოდ დაამარცხა „ისრაელი" და უმოყვარულესი გუნდის ტიტულს დღეს ესპანურ „მადრიდს" შეეცილება. ესპანელებმა ჯგუფის ბოლო შეხვედრაში შანსი არ დაუტოვეს კონკურენტ „მალოპოლსკას" და პირველ ადგილზე გავიდნენ.

ასე რომ, უმოყვარულესობის მშვენიერი შესაძლებლობა დავკარგეთ, თუმცა ჯონი ჯანელიძის „თბილისისთვის" მოყვარულ ევროპაში მეხუთე ადგილის დაკავებაც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი.

**პაატა ქვანტალიანი**

## III ტური და საბოლოო სატურნირო მდგომარეობა

3 ნოემბერი.

ბანოლი დი სოპრა. 210 მაყურებელი

**კიევი 4:1 თბილისი**

1:0 ცეპკალო (7), 2:0, 3:0 კომარი (57, 71), 3:1 ქეთელაური (88), 4:1 მაქსიმიუკი (90)

**კიევი:** პეტრიჩუკი, კოკიჩი, შასლივი, ცეპკალო, მარტინენკო, კუცი, ლოშაკი, კომარი, პულუპივი, ნოხვანი, შერემეტი (მაქსიმიუკი 77)

*სათადარიგონი:* დოცენკო, კუბური, ტიმოშევსკი, კირენკინი

**თბილისი:** ჩაჩიბაია, ხვიჩია, გ. მეტრეველი, გ. ტულუში, ზაკუტაშვილი (კაკაბაძე 46), მოსიაშვილი (ი. ქეთელაური 64), გაბიდაური, ოდიშარია, კრავეიშვილი (ტილკავაშვილი 59), გრიგალაშვილი, ნოზაძე

*სათადარიგონი:* ი. სილაგაძე; შუკაკიძე, მურადელი

**გაფრთხილება:** კოპიჩი (35), მოსიაშვილი (62), მარტინენკო (63), კომარი (90)

**გაძევება:** ნოხვინი (84), გაბიდაური (84), ხვიჩია (89)

**მსაჯი:** დ. მაკდონალდი

3 ნოემბერი.

მირანო. 275 მაყურებელი

**ვენეტო 2:0 ისრაელი**

1:0, 2:0 საბატინი (26, 90)

**ვენეტო:** ბოძატო, ბორიერო (ბერტიპალია 69), დე ტონი, გარდინი, მაისტრო, მორანდი (გორზა 49), გორდიო (რებესკო 89), ნორო, პაკანი, საბატინი, სანდონი

*სათადარიგონი:* ჯირარდი; ჯიარეტა, პადრინი, ტოიგო

**ისრაელი:** აკრი, ალმეკიასი, მაიმონი, ბენ-ტორა, ჰავშოში, ეფსტინი, ბენ-ეზრა, ჰაიავი, დაბუში (ბშარა 46), ოლესკი (შაული 83), ოვედი (აბიტბული 46)

*სათადარიგონი:* ნაშონი; რაბინოვიჩი, ჰერსლიკოვიჩი, კადოში

**გაფრთხილება:** პაკანი (23), ოვედი (26), ბორიერო (60), ბენ-ეზრა (67), ეფსტინი (72), ჰაიავი (81), აბიტბული (81), მაიმონი (90)

**მსაჯი:** მ. შმიდტი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენეტო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კიევი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ისრაელი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**A ჯგუფი**

**მალოპოლსკა 1:3 მადრიდი**

**პრალა 3:2 დისტრიქტ ვესტ II**

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მადრიდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| პრალა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| მალოპოლსკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| დისტრიქტ ვესტ II | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალბერტო ძაკერონი

# ვაი მილანსა და მადლობა ჩელსის

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ, ინიციატივა ხელთ იგდო და სანამ ერთი ამბავი ატყდებოდა დაასწრო და განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის მიუხედავად მწვრთნელის განთავისუფლებასა და ახლის მიყვანაზე არც იფიქრებს.

გალიანი, მოგეხსენებათ, კლუბის ყოველდღიურ საქმეებს განაგებს და ამდენად მისი სიტყვა, გარდა იმისა, რომ ავტორიტეტულია, კომპეტენტურიც გახლავთ.

„მწვრთნელის საკითხი საერთოდ არ არსებობს. ამის შესახებ პრეზიდენტსაც (სილვიო ბერლუსკონის) ველაპარაკე“ — არადა ძაკერონი სტამბოლში „გალათასარაისთან“ 2:3 დამარცხებამდეც ქცეულიყო სასტიკი კრიტიკის საგნად.

„წარმოუდგენელია, საშინელებაა, ლიგაში შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი გქონდეს და უცებ ჯგუფში ბოლო ადგილზე გახვიდე. „გალათასარაისთან“ მეორე ტაიმში მართლა ცუდად ვითამაშეთ, ჩვენ „მილანი“ არ ვიყავით“ — გამოეხმაურა გალიანი მატჩს, რომელშიც მისი ქვეშევრდომები 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლო ოთხ წუთში გაშვებული ორი გოლის გამო დამარცხდნენ.

გალიანიმ თქვა, რომ ამიერიდან გუნდი საგაისო ლიგაში მოხვედრაზე იზრუნებს.

„ჩვენ ევროპულ ასპარეზს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავუბრუნდეთ, ხოლო საამისოდ იტალიის ჩემპიონატის პირველ ოთხეულში მოხვედრაა საჭირო. ეს, ბუნებრივია, ხელგვეწიფება, ვინაიდან „მილანმა“ სულ რაღაც ოთხი თვის წინ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის წოდება“.

იმავდროულად ვიცე-პრეზიდენტმა ქების სიტყვები არ დააკლო ინგლისურ „ჩელსის“, რომელმაც ბერლინის „ჰერტას“ 2:0 მოუგო, რითაც მილანელთა საქმე კეთდებოდა.

„ლონდონელებმა განსაკუთრებულად ითამაშეს. მათი სპორტული სულისკვეთება საგანგებოდ არის აღსანიშნავი“ — განაცხადა გალიანიმ.

„მილანის“ დიდების დროინდელმა მწვრთნელმა, არიგო საკიმ, რომელიც დღეს ტელეჟურნალისტობას შედგომია, ბრძანა:

„ყველა ამბობს, რომ ლიგაში ფავორიტი „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლაციოა“, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მათ სიას „ჩელსიც“ უნდა დავამატოთ“.

# დღეს კენჭისყრაა

UEFA

დღეს, თბილისის დროით დღის 3 საათზე ჟენევაში, სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ მოეწყობა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

კენჭისყრის პრინციპი ასეთი იქნება: პირველი ეტაპიდან გასულ 16 გუნდს ოთხ კალათში დაახარისხებენ. დახარისხების წესის თანახმად, პირველ კალათში მოხვდება ის ოთხი გუნდი, რომელმაც თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილი დაიკავა და ასეთსავე ოთხეულს ზოგადი კოეფიციენტით სჯობს. შესაბამისად, მეორე კალათში განთავსდებიან კოეფიციენტით უარესი პირველადგოლოსნები.

მეორე ადგილზე გასულთათვის რჩება კიდევ ორი კალათი, სადაც ზუსტად იმავე პრინციპით მოხდება დაყოფა — კოეფიციენტით უმჯობესნი მესამეში აღმოჩნდებიან, ხოლო უარესნი, მეოთხეში.

ვინაიდან კოეფიციენტები ცნობილია, მოვიყვანოთ ოთხივე კალათის შემადგენლობა:

**პირველი:** მანჩესტერ იუნაიტედი, ლაციო, ბარსელონა, რეალი
**მეორე:** ჩელსი, რუსენბორგი, ვალენსია, სპარტა
**მესამე:** ბაიერნი, პორტუ, ბორდო, ფეიენოორდი
**მეოთხე:** ფიორენტინა, მარსელი, დინამო, ჰერტა

ამის შემდეგ კენჭისყრა დაასახელებს ოთხ ჯგუფს, რომელშიც თითო კალათიდან თითო გუნდი მოხვდება. კენჭისყრის დროს გაითვალისწინებენ ასეთ პირობას: ერთი და იმავე ფეხბურთის ასოციაციის ანუ ქვეყნის ორი წარმომადგენელი საერთო ჯგუფში ვერ მოხვდება. თუ, ვთქვათ მანჩესტერი **A** ან **B** ჯგუფში მოხვდება, ჩელსის **C**-ში და **D**-ში ჩასვამენ, იმისათვის, რომ ერთმა სამშაბათს ითამაშოს, მეორემ კი ოთხშაბათს. თუმცა, ესპანელები ორი გუნდის ერთ დღეს თამაშს ვერ აცდებიან. ვინაიდან მათ შეჯიბრებაში მესამე წარმომადგენელიც ჰყავთ.

გარდა ამისა, ერთმანეთს აარიდებენ პირველი ეტაპის ერთი და იმავე ჯგუფიდან გასულ გუნდებს



ვალერი ლობანოვსკი

# ლობანოვსკი შინ დაბრუნდა

კიევის „დინამოს“ ოფიციალური განცხადების თანახმად, გუნდის მწვრთნელი, ვალერი ლობანოვსკი საავადმყოფოდან გამოწერეს და შინ ისვენებს.

„იგი თავს კარგად გრძნობს“ — განაცხადა ლობანოვსკის თანაშემწემ, ალექსეი მიხაილიჩენკომ.

მიხაილიჩენკომ, „გლაზგო რეინჯერსისა“ და „სამპდორიის“ ყოფილმა მოთამაშემ თქვა, რომ 60 წლის ლობანოვსკი, რომელიც გულის შეტევის გამო 18 ოქტომბერს საავადმყოფოში აღმოჩნდა, ჰოსპიტალ „ლაციოსთან“ შეხვედრის წინ დატოვა. როდის დაუბრუნდება მწვრთნელი მოვალეობის შესრულებას, უცნობია.

შეგახსენებთ, რომ „ლაციოსთან“ დამარცხების (0:1) მიუხედავად, კიევის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდა.

# გახსოვთ ჰაინკესი

მადრიდის „რეალის“ 1:0 გამარჯვებამ, მოლდეში გამართულ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, მის უელსელ მწვრთნელ, ჯონ ტოშაკს, თანამდებობაზე დარჩენის შანსი გაუზარდა.

ჩვეულებრივ პირობებში „მოლდეს“ დამარცხება კარგად შესრულებულ სამუშაოდ ჩაითვლებოდა, მაგრამ დღეს, როდესაც „სამეფო გუნდს“ ეროვნულ პირველობაზე ზედიზედ რვა შეხვედრიდან ერთშიც არ გაუმარჯვია, ნორვეგიული წინააღმდეგობის დაძლევამ საგანგებო ჟღერადობა შეიძინა.

სხვათა შორის, ოთხშაბათის გამარჯვებას „რეალისთვის“ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. კერძოდ, მისი წყალობით მადრიდელები E ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ კენჭისყრაში ისინი უმაღლეს განთესილთა შორის იქნებიან ანუ თავიდან აიცილებს ახალ ჯგუფში ისეთ გუნდებთან მოხვედრა, როგორებიც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლაციო“ გახლავან.

თუმცა, არსებობს იუპ ჰაინკესის მაგალითიც. მოგეხსენებათ, ორი სეზონის წინ ამ გერმანელმა სპეციალისტმა „რეალს“ ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, მაგრამ, ვინაიდან, პრიმერადივიზიონში ჩემპიონობა „ბარსელონამ“ მოიპოვა, იგი თანამდებობიდან მოხსნეს. მოკლედ, ტოშაკს მხოლოდ საერთაშორისო გამარჯვებები ვერ უშველის.

თუ შოტაკს კონტრაქტის ვადის ამოწურვა უწერია — კონტრაქტს კი ვადა სეზონის ბოლომდე აქვს — ესე იგი „რეალი“ შინაურ, ერთობ უსიამოვნო მდგომარეობას გამოასწორებს — დღეს მადრიდელები ცხრილში მეთერთმეტე პოზიციაზე არიან.

უპირველესი და კონკრეტული ამოცანა, ახლა, შაბათს, პირველობის მოულოდნელი ლიდერის, მადრიდისავე „რაიო ვალეკანოს“ დამარცხება გახლავთ. ამ შეხვედრაში წაგება კი უელსელის ავტომატური მოხსნის ტოლფასი იქნება.

„მოლდესთან“ გამარჯვების შემდეგ ტოშაკმა საკუთარ მომავალზე საუბრისთვის თავის არიდება სცადა. სანაცვლოდ მან თავისი ფეხბურთელები შეაქო, რომელთაგან განსაკუთრებით 19 წლის თავდამსხმელი კარლოს არანდა გამოჰყო, მაგრამ ჟურნალისტთა დაჟინებას მაინც ვერ გაუძლო:

„ჩემთვის არავის უთქვამს გადადექიო, მაგრამ თუ გამიშვებენ, მიზეზიც უნდა განმიმარტონ. მაგალითად, თუ მეტყვიან, რომ ჩემპიონატის ზედიზედ რვა თამაშში ვერმოგების გამო მანთავისუფლებენ, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნება“.

დეტალურ საუბარს თავი კლუბის პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმაც აარიდა.

„რაც გვინდოდა, მივაღწიეთ, მოლდეში გავიმარჯვეთ და ჯგუფში პირველი ადგილი მოვიპოვეთ“ — სულ ეს იყო, რაც სანსმა განაცხადა.

# ყბა

„მიდლსბროს“ ირლანდიელი ფეხბურთელი კით ონილი თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ევრო 2000-ის შესარჩევ პლეი ოფში თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მიზეზი ერთობ ორიგინალურია — ონილს ღამის კლუბში ფათერაკი შეემთხვა და ყბა გაუტეხეს.

ეს ამბავი გასულ უქმეებზე მოხდა, როდესაც ონილმა და მისმა ბოროელმა თანაგუნდელმა, ალან მურმა, „ევერტონთან“ 2:1 გამარჯვების საზეიმოდ ჭიქის აწევა გადაწყვიტეს და ქეიფი ჩამტვრეულ კბილებად და დასერილ სახედ დაუჯდათ.

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა: „მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებიც თურქეთის ნაკრე-



კით ონილი

ბთან სათამაშოდ მოემზადებიან. რატომ არ არის მათ შორის ონილი, მე ვერ მოგახსენებთ“.

პოლიცია ღამის კლუბის ინციდენტს იძიებს.

ზოგადად ონილი კარგ ფორმაშია. „მიდლსბროს“ შემადგენლობაში მან განაპირა მცველის პოზიციაზე ერთობ გამოიჩინა თავი, მაგრამ მაკარტი იძულებული გახდა, მის ნაცვლად ირლანდიელთა შემადგენლობაში დევიდ კონოლი შეეყვანა.

# ვინ გალახავს პალმეირასის ფეხბურთელებს?

ბრაზილიური „პალმეირასის“ ქომაგებმა სიტყვა თქვეს, ჩვენი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს თვალთვალს დავუწყებთ, ღამ-ღამობით სადმე ხომ არ ცულლუტობენო.

სან პაულუში ტელემაყურებელმა იხილა დაახლოებით 50 გაცეცხლებული გულშემატკივარი, გუნდის საწვრთნელ ცენტრში ფეხბურთელებს რომ კიცხავდა, ზოგ მათგანს ლოთსაც უწოდებდა.

პაულუ სერდანი, გულშემატკივართა თვითმარქვია პრესატაშე ამბობს, რომ „პალმეირასის“ ფეხბურთელები ცუდად ქალაქში დაუსრულებელი წანწალის გამო თამაშობენ.

„დღეიდან მათ ლანდად ავეკიდებით“ — უთხრა სერდანმა სააგენტო „ესტადოს“ — „ნებისმიერი ვისაც ღამით ქალაქში გასულს ვნახავთ, გულშემატკივართა საძაგელ მხარეს გადაეყრება“.

სერდანის მხილებით „პალმეირასის“ თავდამსხმელი პაულუ ნუნიეში დილის ხუთის ნახევარზე შენიშნეს სადღაც ბარში, ხოლო მცველის, ჟუნიორ ბაიანოს ნახვა პრობლემა არ არის თუ გვიან-გვიან სალოთაო ადგილებში ივლით.

„პალმეირასს“ სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირი გუნდი ჰყავს, მაგრამ ბრაზილიის პირველობის პირველ ეტაპზე — დარჩენილია სამი თამაში — მე-12 ადგილზეა და მეოთხედფინალში ვერ მოხვედრის დიდი რისკის წინაშე დგას.

ნოემბრის ბოლოს გუნდი ტოკიოს მიემგზავრება საკონტინენტთაშორისო თასზე ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სათამაშოდ. აღსანიშნავია, რომ ამ ჯილდოს სამხრეთ ამერიკაში გაცილებით მეტი სერიოზულობით ეკიდებიან, ვიდრე ევროპაში.

გულშემატკივართა მრისხანება კი მწვრთნელის, დიდ ფილად წოდებული ფელიპე სკოლარის ჩივილს მოჰყვა. დიდმა ფილმა ამასწინათ თქვა, რომ მისი ფეხბურთელები საქმეს უგულოდ ეკიდებიან:

„თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება აქ ძალიან ბევრი გულშემატკივარი მოიყრის თავს და მათ ავტოგრაფები სულაც არ დააინტერესებთ. მოედანზე იმწუთა ჩანს კაცი გამოძინებულია თუ ამთვრალევი“.

სხვათა შორის, მწვრთნელმა სეზონის დასაწყისში ისიც კი თქვა, მოთამაშეები ბევრს ჭამენო და პრესაში თითოეული ფეხბურთელის სასურველი და რეალური წონა გამოაქვეყნა.

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. E ჯგუფი

### მოლდე 0:1 რეალი

0:1 კარემბუ (43)
მოლდე: ბაკე, სინგსასი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი (დოს სანტოსი 46), ტ. სტრანდი, ინგე ოლსენი, ფიორტოფტი, ჰესტადი, ტესემი (მორკი 86), ჰოსეტი (ლინდბეკი 60), ლუნდი
რეალი: ბიზარი, მიჩელ სალგადო, მანუელ სანჩისი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, ხულიო სეზარი, კარანკა, ივან ელგუერა, კარემბუ, ზეედორფი, კარლოს არანდა (ეტოო 55)
მსაჯი: ჟ. ვისიე (საფრანგეთი)

E ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასული გუნდების ვინაობა ადრევე გაირკვა, თუმცა ბოლო ტურს თავისი ინტრიგა მაინც ჰქონდა. „მოლდე“ უეფას თასის საგზურს „ოლიმპიაკოსს“ ეცილებოდა. ტოშაკსაც თავისი გასჭირვებოდა. ესპანელი გულშემატკივრები თეთრ ცხვირსახოცებს რომ აგიფრიალებენ, კარგს არაფერს უნდა ელოდე. ამიტომაც „რეალი“ სკანდინავიაში მხოლოდ მოსაგებად ჩავიდა.

„მოლდე“ — „რეალის“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. 43-ე წუთზე მანუელ სანჩისის პასით კარემბუმ ხუთიოდე მეტრიდან, ბურთი მეტოქის კარში ზუსტად გაგზავნა. ორიოდე კარგი შანსი ნორვეგიელებსაც ჰქონდათ, მაგრამ ანდრეას ლუნდმა და ჯო ტესემმა არაზუსტად დაარტყეს.

REUTERS მოლდედან



მოლდე — რეალი 0:1. მოლდელი ინგე ოლსენი და მადრიდელი ელგუერა ბურთისთვის იბრძვიან

„რეალის“ რიგებში არ თამაშობდნენ რაულ გონსალესი, ფერნანდო მორიენტესი და ნიკოლა ანელკა. ჯონ ტოშაკმა კი შვებით ამოისუნთქა. მადრიდელ გულშემატკივრებს აღშფოთების დამატებითი საბაბი არ მისცა. აი, რა განაცხადა მან მატჩის შემდეგ: „ეს ის თამაში იყო, რასაც ველოდით. „მოლდე“ საკუთარ კედლებში ძალიან კარგად თამაშობს და პირველ ტაიმში გოლის გატანაც შეეძლო. ვფიქრობ, ჩვენ მეორე ბურთიც უნდა შეგვეგდო. როდესაც მასპინძელთა კარგ თამაშზე ვსაუბრობ, ეს არ ნიშნავს, თითქოს უბრალოდ ბედმა გაგვიღიმა. გვარიანად გავისარჯეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. როდესაც ჩვენი ყველა წამყვანი ფეხბურთელი გამოჯანმრთელდება, არავისი შეგვეშინდება. ლიგის შემდეგ ეტაპზე მოწინააღმდეგეებს ბევრ თავსატეხს გავუჩენთ“. ტოშაკმა ეს სიტყვები ალბათ იმ იმედით თქვა, ეგებ კლუბიდან არ გამიშვანო.

„მოლდემ“ მეორე ტაიმი თავისი კაპიტნის — ფოსტერვოლდის გარეშე დაიწყო, თუმცა მას არც ტრავმა აწუხებდა და არც მწვრთნელი ყოფილა მისი თამაშით უკმაყოფილო. საქმე ისაა, რომ შესვენებაზე გასულ ფეხბურთელს დაურეკეს,შენი ცოლი მშობიარობს და იქნებ საავადმყოფოში მოხვიდეო. ფოსტერვოლდიც ორ ცეცხლს შუა ჩავარდა.მწვრთნელს მისთვის უთქვამს, როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოიქეციო. კაპიტანმაც ცოლის გვერდით ყოფნა ამჯობინა.

შეხვედრას უეფას ბოსებიც დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ. ამ მატჩში, პირველად ევროტურნირების ისტორიაში, თანამსაჯობა ქალს ანდეს. ფრანგმა ქალბატონმა ნელი ვიენოტმა კარგად იმუშავა, როგორც თამაშის შემდეგ განაცხადეს, თამაშგარე მდგომარეობის აღნიშვნისას ის ერთხელაც არ შემცდარა.

### ოლიმპიაკოსი 1:0 პორტუ

1:0 იანაკოპულოსი (56)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი (კარაპიალისი 46), იანაკოპულოსი, ჯოვანი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, პასალისი, ოფორი კუაე (გოგიჩი 46), ზაპოვიჩი, ანცასი
პორტუ: ილარიუ, რუბენს ჟუნიორი, ალოიზიო ალვეში, სეკრეტარიუ, რიკარდო სოუზა (ფეერი 64), დრულოვიჩი, რუდოლფო (ჩაინიო 64), ალესანდრო, პაულინიუ სანტუში, რომეუ (დუდა 72), რიკარდო სილვა
მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)

„პორტუს“ თავი ქუდში ჰქონდა, ამიტომაც ეწვია საბერძნეთის [illegible] ძირითადი შემადგენლობის ხუთი მოთამაშის გარეშე.მათ შორის [illegible] ლიც იყო. „ოლიმპიაკოსი“ უეფას თასის საგზურისთვის იბრძოდა. თუ ბერძნები იმარჯვებდნენ, მე-3 ადგილს გაინაღდებდნენ. თუ არა და, „მოლდეს“ დამარცხების იმედად რჩებოდნენ. „რეალის‘ გამარჯვებაში, ესპანელი გულშემატკივრებისა არ იყოს, ბერძნებიც არ იყვნენ დარწმუნებულნი და მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ. ერთადერთი გოლი 56-ე წუთზე საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით იანაკოპულოსმა გაიტანა. მასპინძლებს ანგარიშის გაზრდის შანსი კიდევ მინიმუმ სამჯერ ჰქონდათ, მაგრამ ვერ იხეირეს. „პორტუ“ მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოცოცხლდა. ჯერ ალესანდროს შორიდან დარტყმული მოიგერია მასპინძელთა მეკარე ელეფთეროპულოსმა, ბრაზილიელმა დუდამ კი ოდნავ ააცილა კარს.

მატჩის შემდეგ „პორტუს“ მენეჯერმა ფერნანდო სანტოსმა განაცხადა: „მართალია, კარგად არ გვითამაშია, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. ჩვენ ისინი დავასვენეთ და ახალბედებს თავის გამოჩენის შესაძლებლობა მივეცით. ახლა წილისყრის შედეგებს ველოდებით. გუნდის შემდგომ შანსებზე მერე ვილაპარაკებთ“.

წილისყრაზე ოლიმპიაკოსელმა ჯოვანიმაც ისაუბრა. თუმცა მას უეფას თასის წილისყრა აინტერესებდა. ჯოვანიმ იმედი გამოთქვა, ბედი არ გვიმტყუნებს და არც ისე ძლიერი გუნდი შეგვხვდებაო.

სანტოსი კი, ეტყობა, ზრდილობიანი კაცია. მასპინძლებს თავი მოუქონა, იმედი მაქვს, უეფაზე „ოლიმპიაკოსის“ დამმარცხებელი არავინ იქნებაო. არ ვიცით, დაიჯერეს თუ არა ბერძნებმა პორტუგალიელთა თავკაცის სიტყვები. ისე ყველა მათგანი მხოლოდ მომავალ წილისყრაზე ფიქრობდა და ერთხმად გაიძახოდნენ, ნეტავ სუსტი მეტოქე გვერგოსო

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 3:1 | 3:0 | 4:1 | 15:7 | 13 |
| 2 | პორტუ | 2:1 | | 2:0 | 3:1 | 9:6 | 12 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 3:3 | 1:0 | | 3:1 | 9:12 | 7 |
| 4 | მოლდე | 0:1 | 0:1 | 3:2 | | 6:14 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. F ჯგუფი

### ბაიერნი 1:0 რეინჯერსი

1:0 შტრუნცი (33პ)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი, ლინკე, შტრუნცი, ფინკი, ეფენბერგი (ტარნატი 74), ლიზარაზუ, შოლი (სალიჰამიჯიჩი 66), ელბერი, სანტა კრუზი (პაულო სერჟიო 66)
რეინჯერსი: კლოსი, პორინი, ლ. ამორუზო, მური, ნუმანი (მაკკენი 46), კ. რეინა, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერტცი, მოლსი (იოჰანსონი 30), უოლესი (ამატო 80)
მსაჯი: ვიტორ მანუელ პერეირა (პორტუგალია)

ჯგუფის ცენტრალური მატჩი მიუნხენის „ოლიმპიურ“ სტადიონზე ადგილობრივ „ბაიერნსა“ და შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს“ შორის გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა უაღრესად დაძაბული და კარგი სანახავი გამოდგა.

ანგარიში 33-ე წუთზე გერმანელმა ტომას შტრუნცმა გახსნა და როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს გოლი პირველი და უკანასკნელი იყო ამ შეხვედრაში. მართალია, „რეინჯერსს“ ანგარიშის გათანაბრების და დაწინაურების არაერთი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ შოტლანდიელებს ბედი აშკარად არ სწყალობდათ. ხან მეკარე ოლივერ კანი უშლიდათ ხელს, ხანაც ბურთი ძელს ხვდებოდა.

„ბაიერნს“ მატჩის დებიუტშივე შეეძლო დაწინაურება. მე-4 წუთზე როკე სანტა კრუზს მიეცა გოლის გატანის კარგი შანსი, მაგრამ მისი დარტყმული „რეინჯერსის“ გერმანელმა გოლკიპერმა შტეფან კლოსმა მოიგერია. ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმაც გააცუდა ხელსაყრელი მომენტი მას შემდეგ, რაც ფრანგი ბიქსენტ ლიზარაზუსგან მშვენიერი პასი მიიღო. 33-ე წუთზე კი როგორც გითხარით, გოლი გავიდა — რეინჯერსელმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა საკუთარ საჯარიმოში მიუნხენელი მეჰმეთ შოლი აკრძალული წესით შეაჩერა და პორტუგალიელმა მსაჯმა ვიტორ მანუელ პერეირამაც უყოყმანოდ მიუთითა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისაკენ. პენალტი ზუსტად შეასრულა ტომას შტრუნცმა და მატჩის შემდეგ განაცხადა კიდეც, სრულია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას შევძლებდი.

მერე კი უპირატესობა „რეინჯერსისა“ იყო. სტუმრებმა, შეიძლება ითქვას, გერმანიის ჩემპიონი მისსავე კარს მიაჯაჭვეს. ერთობ აქტიურობდა ჰოლანდიელი თავდამსხმელი მიხაელ მოლსი, რომელიც მატჩის 30-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მოკლედ, „რეინჯერსმა“ ქულაც კი ვერ წამოიღო მიუნხენიდან, „ბაიერნი“ კი მომდევნო ეტაპზე გავიდა. შოტლანდიელები უეფას თასზე იასპარეზებენ.

მატჩის შემდეგ გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა და რომ არა გოლკიპერი ოლივერ კანი, რომელმაც რამდენჯერმე უეჭველი გოლისგან იხსნა თავისი კარი, არავინ იცის, მომდევნო ეტაპზე ვინ გავიდოდა. თუმც ჰიცფელდმა ისიც აღნიშნა, რომ „ბაიერნს“ უკვე მე-20 წუთზე ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურება შეეძლო, სანტა კრუზსა და ელბერს რომ ეყოჩაღათ.

„რეინჯერსის“ მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი კი გულდაწყვეტილი იყო, რომ მის



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — რეინჯერსი 1:0. თამაშისას შოტლანდიელი და გერმანელი ფეხბურთელები ხშირად კინკლაობდნენ

შეგირდებს არ გაუმართლათ. „მათ უამრავი მომენტი შექმნეს, მაგრამ კანი სასწაულებს სჩადიოდა, ხოლო როცა იგი უძლური იყო, „ბაიერნს“ ძელი შველოდა“.

თავად მატჩის გმირმა ოლივერ კანმა განაცხადა, რომ მოხარულია თავისი გუნდის წარმატებით. „სასიხარულოა, რომ მოვიგეთ მატჩი, რომელიც ფინალსაც კი დაამშვენებდა. ვიქრობ, გასულ სეზონში ამავე ტურნირის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წაგებული დრამატული ორთაბრძოლის შემდეგ, ეს გამარჯვება აშკარად წაგვადგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით“.

### ვალენსია 1:0 პსვ

1:0 კლაუდიო ლოპესი (70)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, ანგულო, ფარინოსი, მენდიეტა, ხერარდი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი, ხუან სანჩესი (ოსკარ გარსია 76)
პსვ: ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ე.ადო, ჰაინცე, სტინგა, ვან ბომელი, ხოხლოვი, კოლკა, ვან ნისტელროი, ნილისი (რომედალი 71)
მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)

ჯგუფის მეორე შეხვედრაში კი ესპანურმა „ვალენსიამ“ შინ ჰოლანდიური პსვ დაამარცხა. მატჩის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მომდევნო ეტაპზე მაინც ესპანელები გადიოდნენ. მათ მაინც გაიმარჯვეს და პრესტიჟსა და სარეიტინგო მაჩვენებელზე რომ არაფერი ვთქვათ, 500-ათასი ფრანკითაც გაიმდიდრეს ბიუჯეტი. ერთადერთი ბურთი კი მატჩის 70-ე წუთზე არგენტინელმა ფორვარდმა კლაუდიო ლოპესმა შეაგდო. რამდენჯერმე გოლის გატანის შანსი პსვ-საც მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

მატჩის შემდეგ „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა ქების სიტყვები არ დაიშურა თავისი გუნდის მიმართ. პსვ-ს მთავარმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა კი აღნიშნა, რომ ერთობ გულდაწყვეტილია თავისი გუნდის წარუმატებლობით და ახლა მთავარ ყურადღებას თავისი ქვეყნის ჩემპიონატს მიაპყრობს.

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 1:1 | 2:0 | 1:0 | 8:4 | 12 |
| 2 | ბაიერნი | 1:1 | | 1:0 | 2:1 | 7:6 | 9 |
| 3 | რეინჯერსი | 1:2 | 1:1 | | 4:1 | 7:7 | 7 |
| 4 | პსვ | 1:1 | 2:1 | 0:1 | | 5:10 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. G ჯგუფი

### ტილბურგი 0:0 ბორდო

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, ჯენტილე, შენინგი (პილი 90), გალაშეკი, იალიენსი, ვიქტორია (ვალკი 84), ლანდზაატი (რამზი 76), სესაი, სანუ, შუკოვი
ბორდო: რიშე, ჟემალი, აფანუ, ალიკარტე, ბონისელი, ბატლე (ფეინდუონო 66), დიაბატე, კ. მარტენსი (გრენე 80), რუვიე, მიკუ, ვილტორდი
მსაჯი: მ. როდომანი (იუგოსლავია)

ეს მატჩი მხოლოდ ოქმის გასაფორმებლად შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთი გუნდის ფეხბურთელებს არ შეუწუხებიათ თავი. ბორდოელმა მიკუმ მეორე ტაიმში ბურთი ხელს გაარტყა. ეს იყო და ეს. თამაში 0:0 დასრულდა.

მასპინძლებს ადილ რამზის საქმეში ნახვა აინტერესებდათ. ეს ფეხბურთელი ტრავმის გამო დიდხანს არ თამაშობდა. იგი 76-ე წუთზე შეუშვეს მინდორზე, თუმცა რამზის, ისევე, როგორც მთელ გუნდს, სახეირო არაფერი გაუკეთებია.

„ტილბურგის" მწვრთნელი კო ადრიანსე უკმაყოფილო არ გახლდათ. „პირველ ტაიმში „ბორდოსთვის" გოლის გატანის შანსი არ მიგვიცია. მეორე ნახევარშიც მხოლოდ ორჯერ შემოგვიტიეს სახიფათოდ. ჩვენი მცველები საუკეთესოდ ირჯებოდნენ. მატჩის წინ ფეხბურთელებს ვუთხარი, ბოლო თამაში განსაკუთრებით კარგად უნდა ჩავატაროთ, რათა გულშემატკივართა გულები მოვიგოთ-მეთქი. სამი ქულის მოპოვებას ვგეგმავდი, თუმცა ფრეც კარგი შედეგია".

მარკო ჯენტილემ ფრის გასამართლებლად კარგი საშუალება გამოძებნა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგება გვინდოდა, მაგრამ რადგან ამ უქმეებზე ქვეყნის ჩემპიონატში „გრააფსხაპთან" მეტად რთული მატჩი გველის, ძალები დავზოგეთ. თან „ბორდოც" ძალიან კარგი გუნდია. მასთან მიღწეული ფრე საპატიოა".

ადილ რამზი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, თავის მომავალზე უფრო ფიქრობდა: „მინდორზე დაბრუნებით ბედნიერი ვარ. მოგება გვინდოდა, აბა, გულშემატკივრებს ხომ არ გავაწბილებდით. ახლა ძალიან კარგ ფორმაში ვარ და შემიძლია, მთელი 90 წუთი ვითამაშო".

ფრანგთა მწვრთნელმა ელი ბოპმა, შემდეგ ეტაპზე გასული სხვა გუნდების მენეჯერთა მსგავსად, განაცხადა, „16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრილნი ვიყავით და ამიტომაც რამდენიმე ფეხბურთელი დავასვენეთო".



REUTERS ტილბურგიდან

ტილბურგი — ბორდო 0:0. ბორდოელმა ლორან ბატლემ (№20) და ტილბურგელმა მარკ შენინგმა ბურთი ვერ გაიყვეს

### სპარტა 5:2 სპარტაკი

1:0 ლოკვენცი (1), 2:0 როსიკი (11), 2:1 ბულატოვი (34), 2:2 ბეზროდნი (45), 3:2 ფუკალი (49), 4:2 ლაბანტი (63პ), 5:2 ლოკვენცი (66)
სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ირჟი ნოვოტნი, ფუკალი, ლაბანტი, ჰაშეკი, პორნაკი, ობაიდინი (იაროსიკი 79), როსიკი (სვობოდა 69), ლოკვენცი, სიონკო (ზიგლი 85)
სპარტაკი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, ანანკო, პარფიონოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, ბეზროდნი, შირკო (მილიოშინი 73), რობსონი (ბარანოვი 53)
გაძევება: ტიხონოვი (62)
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

„სპარტა" — „სპარტაკის" შეხვედრა სატურნირო მდგომარეობას ვერ შეცვლიდა. მატჩი კი მაინც მეტად პრინციპული იყო. ჩეხი მაყურებელი „სპარტას" რუსეთის ჩემპიონთან დამარცხებას არ აპატიებდა. თავის მხრივ, „სპარტაკს" შელახული თავმოყვარეობის და ავტორიტეტის აღდგენა სურდა.

ის იყო, მსაჯმა ჩასტვინა, რომ ჩეხებმა გოლი შეაგდეს. მე-40 წამზე მასპინძლები ვრატისლავ ლოკვენცმა დააწინაურა. ათი წუთის შემდეგ ტომას როსიკმა მეორეც გაიტანა. დებიუტშივე მოპოვებულმა ორბურთიანმა უპირატესობამ „სპარტა" დაამშვიდა, რუსები — პირიქით. სპარტაკელებმა, ეტყობა, იფიქრეს, მოსკოვში აღარ ჩაგვესვლებაო და პირველივე ტაიმში ანგარიში გაათანაბრეს. 34-ე წუთზე ბულატოვმა და 45-ზე ბეზროდნიმ „სპარტაკს" იმედი ჩაუსახეს. ჩეხები ამას როგორ შეურიგდებოდნენ. ჰოდა, ფუკალმა მეორე ტაიმის დაწყებიდან 4 წუთში რუსებს მესამე გაუტანა. 62-ე წუთზე ანდრეი ტიხონოვმა, რობერტო კარლოსზე ნაკლები რითი ვარო და საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელით შეაჩერა.

მსაჯი ამჯერად იქით იყურებოდა, სადაც საჭირო იყო, ტიხონოვი გააძევა და პენალტი დანიშნა. ლაბანტმა მეოთხე შეაგდო. სამიოდე წუთის შემდეგ პირველი გოლის ავტორმა ლოკვენცმა მატჩში ბოლო ბურთიც გაიტანა. „სპარტამ" 5:2 მოიგო. ვნახოთ, როგორ დახვდებიან „სპარტაკს" მოსკოველი გულშემატკივრები.

ჩეხმა ქომაგებმა თავიანთი სიხარული მაშხალების სროლით გამოხატეს. ეს მაშინ მოხდა, „სპარტა" 2:0 რომ იგებდა. მოედანზე ისეთი კვამლი იდგა, ფეხბურთელებს ვინ ჩივის, მსაჯი საკუთარ სასტვენს ვერ ხედავდა. თამაშიც ორჯერ შეწყდა. მეორე ტაიმში მაყურებლები დაწყნარდნენ. ალბათ, იფიქრეს, თამაში კიდევ რომ შეწყდეს, აღარ გაგრძელდება და მოგებული მატჩის შედეგი გაგვიუქმდებაო.

შეხვედრისშემდგომ პრესკონფერენციაზე კითხვებს რომანცევის თანაშემწე ვიაჩესლავ გროზნი პასუხობდა. თავად რომანცევი არ ჩანდა. სათქმელიც ხომ არაფერი ჰქონდა?

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტა | | 0:0 | 5:2 | 4:0 | 14:6 | 12 |
| 2 | ბორდო | 0:0 | | 2:1 | 3:2 | 7:4 | 12 |
| 3 | სპარტაკი | 1:1 | 1:2 | | 1:1 | 9:12 | 5 |
| 4 | ტილბურგი | 3:4 | 0:0 | 1:3 | | 7:15 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. H ჯგუფი

### გალათასარაი 3:2 მილანი

0:1 ვეა (20), 1:1 კაპონე (27), 1:2 ჯუნტი (51), 2:2 ჰაქან შუქური (86), 3:2 დავალა უმითი (90პ)
გალათასარაი: ტაფარელი, ჯიკა პოპესკუ (ერგუნი 70), ემრე ბელოზოღლუ, არიფი (მარსიო დოს სანტოსი 77), ოქან ბურუქი, ჰაქან შუქური, გ. ჰაჯი (ჰასან სასი 66), აჰმეთი, დავალა უმითი, ჰაქან უნსალი, კაპონე
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, მალდინი, აიალა, ნგოტი, ალბერტინი, გულიელმინპიეტრო (სერჟინიო 56), გატუზო, ჯუნტი (ბირჰოფი 88), ვეა (ბობანი 82), შევჩენკო
მსაჯი: ხ. ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

გუშინ სტამბოლში „გალათასარაიმ" იტალიის ჩემპიონ „მილანს" ბოლო ოთხ წუთში მართლაც რომ „დიდი თურქობა" მოუწყო და არამცთუ ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპს, არამედ უეფას თასსაც კი გამოამშვიდობა.

თუმცა „მილანისთვის" მატჩი საკმაოდ წარმატებულად დაიწყო. მე-20 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ლიბერიელმა ფორვარდმა ჟორჟ ვეამ ანგარიში გახსნა, მას შემდეგ, რაც უკრაინელი ანდრეი შევჩენკოსაგან მშვენიერი პასი მიიღო. მილანელებმა ერთიორად გაიხარეს, როცა სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს — ლონდონში „ჩელსი" ბერლინის „ჰერტასთან" 1:0 დაწინაურდაო. მოვლენების ამგვარი განვითარება სრულიად აძლევდა ხელს იტალიის ჩემპიონს. 27-ე წუთზე გალათასარაელმა კაპონემ ანგარიში გაათანაბრა და მილანელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი შეურყია. ისევ მოვიდა ცნობა ლონდონიდან, „ჩელსის" უკვე ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდა და ნათელი გახდა, რომ ამ წყვილის დუელში ინგლისური გუნდი გაიმარჯვებდა. „მილანის" ბედი მისსავე ხელში იყო. 51-ე წუთზე იტალიელები კვლავ დაწინაურდნენ, გოლი ნახევარმცველმა ფედერიკო ჯუნტიმ გაიტანა და ყველას ეგონა, რომ მილანური გუნდი ამ უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდა. თუმცა ეს მხოლოდ წინასწარი შთაბეჭდილება იყო — ანგარიშს ხომ შენარჩუნება უნდოდა.

„მილანის" მთავარმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ორი ცვლილება განახორციელა. მარჯვენა ფლანგზე არგენტინელი გულიელმინპიეტრო ბრაზილიელი სერჟინიოთი შეცვალა, ხოლო 82-ე წუთზე ჟორჟ ვეას მაგივრად ხორვატი ზვონიმირ ბობანი შეიყვანა მინდორზე.

და აი, დადგა „მილანისათვის" საბედისწერო 86-ე წუთი. თურქთა საუკეთესო ბომბარდირმა ჰაქან შუქურმა იტალიელთა დაცვის ცენტრის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში თავური დარტყმით გაათანაბრა. „მილანს" მხოლოდ ოთხი წუთი რჩებოდა მატჩის გადასარჩენად. ამიტომაც შეცვალა ძაკერონიმ ჯუნტი გერმანელი ბირჰოფით, მაგრამ „მილანს" გამარჯვება არ ეწერა. 90-ე წუთზე მის კარში სულაც თერთმეტმეტრიანი დაინიშნა და თურქმა დავალა უმითმა ბრწყინვალედ გამოიყენა ეს შანსი.

საბოლოოდ — 3:2. იტალიელებმა ლიგის მომდევნო ეტაპის კი არა, უეფას თასის საგზურიც დაკარგეს.

მატჩის შემდეგ ძაკერონიმ განაცხადა: „როდესაც ანგარიში 2:2 გახდა, მე მაინც მჯეროდა, რომ დარჩენილ წუთებში „მილანი" გამარჯვების ბურთს გაიტანდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სტამბოლში იოლი გასეირნების იმედი არამც და არამც არ მქონდა, თუმცა „გალათასარაის" ნახევარდაცვამ მოსალოდნელზე ძლიერად ითამაშა და წაგების ერთ-ერთი ფაქტორიც სწორედ ეს გახლდათ".

თურქთა მთავარმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა კი თქვა: „ტყუილად არ მწამდა ჩემი გუნდის. მატჩის განმავლობაში ორჯერ ჩამოვრჩით, მაგრამ მაინც შევძელით მოგება, რაც „გალათასარაის" მაღალ კლასზე მეტყველებს. მოხარული ვარ, რომ უეფას თასზე გავაგრძელებთ ასპარეზობას". ამასვე ადასტურებენ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები — უკანასკნელი გოლის ავტორი დავალა უმითი და რუმინელი გეორგე ჰაჯი.



REUTERS სტამბოლიდან

გალათასარაი — მილანი 3:2. სტამბოლელმა გულშემატკივრებმა თავისი გუნდის წარმატებით გაიხარეს

### ჩელსი 2:0 ჰერტა

1:0 დეშამპი (11), 2:0 ფერერი (44)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ჰოგი (ლებეფი 66), დესაი (ლამბური 86), პეტრესკუ, დეშამპი, უაიზი, ბაბაიარო, ძოლა (პოიეტი 64), ფლო, სატონი
ჰერტა: კირალი, რეკდალი, ვან ბურიკი, ზანე, სვერისონი, ჰელმერი (შმიდტი 58), დაისლერი, მიხალკე, ვოში (კონსტანტინიდისი 46), დაეი, პრეეტცი (არაჩიჩი 46)
გაძევება: სატონი (90)
მსაჯი: კ. ერიკ ნილსონი (შვედეთი)

„ჩელსიმ" „ჰერტასთან" მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი დონის გუნდები მხოლოდ მოსაგებად თამაშობენ. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონურ კლუბს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრეც აძლევდა ხელს, მაინც დიდი ფეხბურთი უჩვენა და 2:0 დაამარცხა მეტოქე. ანგარიში მე-11 წუთზე ფრანგმა ნახევარმცველმა დიდიე დეშამპმა გახსნა, ხოლო ტაიმის მიწურულს ესპანელმა მცველმა ალბერტ ფერერმა სულაც ორბურთიანი უპირატესობით დააწინაურა თავისი გუნდი. „ჩელსის" ბოლ წუთზე კრის სატონი გაუძევეს, რომელმაც ორი გაფრთხილება მიიღო. ბერლინურმა კლუბმა ვერაფერი მოუხერხა „ჩელსის" თუმც, როგორც შემდეგ გაირკვა, მომდევნო ეტაპზე მაინც მოხვდა.

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 2:0 | 1:0 | 0:0 | 10:3 | 11 |
| 2 | ჰერტა | 2:1 | | 1:4 | 1:0 | 7:10 | 8 |
| 3 | გალათასარაი | 0:5 | 2:2 | | 3:2 | 10:13 | 7 |
| 4 | მილანი | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 6:7 | 6 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 030 ჰანზა — ჰამბურგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 031 ფრაიბურგი — დუისბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 032 ვოლფსბურგი — შტუტგარტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 033 ულმი — ბაიერნი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 034 აინტრახტი — ჰერტა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 035 დორტმუნდი — ლევერკუზენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 036 მიუნხენი — უნტერჰახინგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 037 კაიზერსლაუტერნი — შალკე | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 038 არმინია — ვერდერი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 039 ზანქტ პაული — ქემნიცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 040 ალემანია — ჰანოვერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 041 ბოხუმი — ვალდჰოფი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 042 კოტბუსი — კარლსრუე | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 043 კიოლნი — ნიურნბერგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 044 კიკერსი — ოფენბახი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 045 ფიურტი — ფორტუნა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 046 ობერჰაუზენი — მაინცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 8 ნოემბერი | | | |
| 047 ბერლინი — მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 048 ასტონ ვილა — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 049 ბრედფორდი — ქოვენთრი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 050 ლივერპული — დერბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 051 მანჩესტერი — ლესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 052 მიდლსბრო — სანდერლენდი | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 053 უენსდი — უოტფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 054 ნიუკასლი — ევერტონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 055 ჩელსი — ვესტ ჰემი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 056 ტოტენჰემი — არსენალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 057 უიმბლდონი — ლიდსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 058 პორტ ვეილი — ქრიუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 059 ბარნსლი — შეფილდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 060 ბლექბერნი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 061 ბოლტონი — კრისტალ პალასი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 062 ჩარლტონი — უოლსოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 063 ჰადერსფილდი — სუინდონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 064 ნორვიჩი — ნოტინგემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 065 პორტსმუთი — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 066 ქუინზ პარკი — მანჩესტერ სიტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 067 სტოკპორტი — ფულემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 068 ტრანმერი — ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 069 ვულვერჰემპტონი — გრიმსბი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 070 ბლეკპული — უიგანი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 071 ბორნმუთი — კარდიფი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 072 ბრისტოლი — კემბრიჯი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 073 ბერი — სტოკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 074 ჩესტერფილდი — ოლდემი | 2,1 | 2,9 | 3,0 |
| 075 კოლჩესტერი — პრესტონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 076 ლუტონი — ბარნლი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 077 ნოტსი — ჯილინგემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 078 სკანთორპი — მილუოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 079 რექსემი — ბრენტფორდი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 080 უიკომბი — როვერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 081 რედინგი — ოქსფორდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 082 სუონსი — ჰალიფაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 083 ბარნეტი — დარლინგტონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 084 ბრაიტონი — ჰარტლპული | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 085 ჩელტენემი — კარლაისლი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 086 ჩესტერი — პლიმუთი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 087 ექსეტერი — საუთენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 088 ჰალი — როტერჰემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 089 ლეიტონი — ნორთჰემპტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 090 მენსფილდი — ლინკოლნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 091 პიტერბრო — შრიუსბერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 092 ტორკი — როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 093 იორკი — მაკლსფილდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 094 პსჟ — სენტ ეტიენი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 095 ბორდო — სედანი | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 096 სტრასბური — ნანსი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 097 რენი — ბასტია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 098 მეცი — ლანსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 099 ლიონი — ლე ავრი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 100 ტრუა — მონპელიე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 101 ნანტი — ოსერი | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 102 მონაკო — მარსელი | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 103 კანი — ნიცა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 104 ნიორი — ლუანი | 1,9 | 2,7 | 3,8 |
| 105 ლე მანი — შატორუ | 1,8 | 2,7 | 4,0 |
| 106 კაენი — აიაჩო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 107 ვალანსი — ნიმი | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 108 ლორიანი — ლავალი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 109 გენიონი — გენგამი | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 110 სოშო — ამიენი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 111 ვასკეალი — ტულუზი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 112 კრეტეი — ლილი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

### იტალია. სერია A. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 113 პერუჯა — ბარი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 114 კალიარი — ფიორენტინა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 115 ბოლონია — ინტერი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 116 ლაციო — ვერონა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 117 ლეჩე — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 118 მილანი — ვენეცია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 119 პიაჩენცა — პარმა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 120 რეჯინა — რომა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 121 ტორინო — იუვენტუსი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### იტალია. სერია B. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 122 სალერნიტანა — სამპდორია | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 123 ალძანო — კოზენცა | 1,8 | 2,7 | 4,0 |
| 124 ბრეშა — ატალანტა | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 125 ჩეზენა — ფერმანა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 126 კიევო — სავოია | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 127 ემპოლი — რავენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 128 ჯენოა — მონცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 129 ტრევიზო — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 130 ვიჩენცა — პისტოიეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| 131 ნაპოლი — პესკარა | 1,7 | 2,7 | 5,6 |

### იტალია. სერია C1a. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| 132 ალბინოლეფე — ლუკეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 133 ბრეშელო — კრემონეზე | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 134 ჩიტადელა — რეჯანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 135 კომო — პიზა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 136 ლივორნო — სანდონა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 137 ლუმეცანე — ვარეზე | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 138 მოდენა — სპალ | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| 139 მონტევარკი — ლეკო | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 8 ნოემბერი | | | |
| 140 კარარეზე — სიენა | 2,3 | 2,7 | 3,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### იტალია. სერია [illegible] ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ნოემბერი | | | |
| 141 ანკონა — სტაბია | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 142 ასკოლი — კროტონე | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 143 ბენევენტო — მ[illegible]სალა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 144 კატანია — ატლეტიკო | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 145 ფ. ანდრია — დი სანგრო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 146 ჯულიანოვა — ლოდიჯანი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 147 ლოჩერინა — არეცო | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 148 პალერმო — აველინო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 149 ვიტერბეზე — გუალდო | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 150 რაიო ვალეკანო — რეალი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 151 რასინგი — ესპანიოლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 152 სარაგოსა — ალავესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 153 სელტა — ბეტისი | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 154 სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 155 ატლეტიკო — ნუმანსია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 156 სევილია — ბილბაო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 157 ოვიედო — დეპორტივო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 158 ბარსელონა — მალაგა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 159 მალიორკა — ვალენსია | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 ნოემბერი | | | |
| 160 ხეტაფე — ლეგანესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 161 სალამანკა — კორდობა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 162 ლეიდა — ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 163 ტენერიფე — სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 164 ლევანტე — უელვა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 165 ვილიარეალი — ტოლედო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 166 ელჩე — მერიდა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 167 ეიბარი — ატლეტიკო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 168 ბადახოსი — ოსასუნა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 169 ალბასეტე — კომპოსტელა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 170 ესტრემადურა — ლოგრონიესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### პორტუგალია. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 171 გიმარაეში — ბელენენსეში | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 172 სპორტინგი — კამპომაიორენსე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 173 სალგეირუში — ალვერკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 174 ფარენსე — ამადორა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 175 ლეირია — რიუ ავე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 176 სეტუბალი — ჟილ ვისენტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 8 ნოემბერი | | | |
| 177 ბენფიკა — ბრაგა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 178 მარიტიმუ — პორტუ | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 179 სანტა კლარა — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ჰოლანდია. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 180 უტრეხტი — ფორტუნა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 181 გრააფსხაპი — ტილბურგი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 182 მაასტრიხტი — ალკმაარი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 7 ნოემბერი | | | |
| 183 ნაიმეგენი — ეინდჰოვენი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 184 ვალვაიკი — კამბური | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 185 როდა — დენ ბოსხი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 258 სპარტა — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 259 ტვენტე — ფეიენოორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგია. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | | | |
| 186 შარლერუა — ბრიუგე | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 6 ნოემბერი | | | |
| 187 გენტი — ბეერსხოტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 188 გენკი — ლოკერენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 189 სტანდარდი — სენტ ტრუიდენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 190 მუსკრონი— ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 191 ბევერენი — ლიერსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 192 მეხელენი — ანდერლეხტი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 193 | ვესტერლო — აალსტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 194 | ჰარელბეკე — გენკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### საბერძნეთი. მე-7 ტური

7 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 195 | კალამატა — პროდეფტიკი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 196 | ირაკლისი — ეთნიკოსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 197 | პანიონიოსი — პანაჰაიკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 198 | პანილიაკოსი — პანათინაიკოსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 199 | აპოლონი — ქსანტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 200 | ოლიმპიაკოსი — პაოკ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 201 | კავალა — ოფი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 202 | იონიკოსი — აეკ | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 203 | ტრიკალა — არისი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### ჩეხეთი. XIII ტური

7 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ვიკტორია — ოპავა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 205 | ლიბერეცი — ბრნო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 206 | ბლშანი — ბუდეიოვიცე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 207 | ბანიკი — დუკლა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 208 | ჰ. კრალოვე — ბოჰემიანსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 209 | დრნოვიცე — იაბლონეცი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 8 ნოემბერი | | | |
| 210 | სლავია — სპარტა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 211 | სიგმა — ტეპლიცე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### პოლონეთი. XV ტური

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 212 | გურნიკი — ზაგლებე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 6 ნოემბერი | | | |
| 213 | პოლონია — პლოცკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 214 | პოგონი — რაძიონკოვი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 215 | რუხი — ოდრა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 216 | ლკს — ამიცა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 217 | სტომილი — ვიძევი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 218 | გროცლინი — ლეხი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 219 | ვისლა — ლეგია | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### უკრაინა. XV ტური

7 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | ცსკა — დინამო | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 221 | მეტალისტი — ნივა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 222 | კარპატი — მარიუპოლი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 223 | ჩორნომორეცი — პრიკარპატია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 224 | მეტალურგი — შახტარი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 225 | ზირკა — ზაპოროჟიე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 226 | ტავრია — ვორსკლა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 227 | დნიპრო — კრივბასი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### შოტლანდია. XIII ტური

6 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 228 | დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 229 | ჰართსი — მოზერუელი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 230 | კილმარნოკი — ჰიბერნიანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 231 | სენტ ჯონსტონი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 232 | რეინჯერსი — სელტიკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ავსტრია. XIX ტური

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | ლინცერი — რიდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 6 ნოემბერი | | | |
| 234 | ბრეგენცი — ლუსტენაუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 235 | ზალცბურგი — შტურმი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 236 | გრაცერი — აუსტრია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 237 | რაპიდი — ტიროლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### შვეიცარია. XVIII ტური

6 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | ქსამაქსი — დელემონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 239 | ივერდონი — სენტ გალენი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 240 | აარაუ — ლუცერნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 241 | ლუგანო — გრასჰოპერი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 242 | ციურიხი — ლოზანა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 243 | ბაზელი — სერვეტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### დანია. XVI ტური

7 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 244 | აკადემისკი — ორჰუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 245 | ოდენსე — ჰერფიოლგე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 246 | სილკებორგი — ლიუნგბიუ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 247 | ესბიერგი — ვაილე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 248 | კოპენჰაგენი — ბრიონდბიუ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 8 ნოემბერი | | | |
| 249 | ოლბორგი — ვიბორგი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### რუსეთი. XXX ტური

8 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 250 | ჩერნომორეცი — შინიკი | 1,6 | 2,8 | 5,6 |
| 251 | ურალანი — ზენიტი | 2,7 | 2,9 | 2,5 |
| 252 | სპარტაკი — ალანია | 1,6 | 2,7 | 5,6 |
| 253 | კრილია სოვეტოვი — ცსკა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 254 | დინამო — როტორი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 255 | ლოკომოტივი — როსტსელმაში | 1,5 | 2,7 | 6,5 |
| 256 | ჟემჩუჟინა — ტორპედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 257 | სატურნი — ნიჟნი ნოვგოროდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. XI ტური | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი. XIV ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. XIV ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| იტალია. IX ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. XII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |

### კალათბურთი. NBA

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 860 | ბოსტონი — შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 861 | ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 862 | ორლანდო — კლივლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 863 | დეტროიტი — ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 864 | ჩიკაგო — მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,24 |
| 865 | ჰიუსტონი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 866 | კლიპერსი — ფილადელფია | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 867 | საკრამენტო — მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 868 | პორტლენდი — დენვერი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| | 6 ნოემბერი | | | |
| 869 | ვაშინგტონი — ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 870 | ატლანტა — ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 871 | კლივლენდი — ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 872 | ინდიანა — ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 873 | მილუოკი — დეტროიტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 874 | მინესოტა — საკრამენტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 875 | გოლდენ სტეიტი — დალასი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 876 | პორტლენდი — ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 877 | სიეტლი — იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 878 | ვანკუვერი — დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 879 | ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 880 | ტორონტო — შარლოტი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 881 | ფინიქსი — სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 882 | ლეიკერსი — დალასი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| | 8 ნოემბერი | | | |
| 883 | ნიუ იორკი — მილუოკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 884 | ფილადელფია — სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 885 | ჰიუსტონი — ორლანდო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 886 | დენვერი — ატლანტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 887 | კლიპერსი — იუტა | 4,0 | 12,0 | 1,15 |

### ჰოკეი. NHL

5 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 888 | ვაშინგტონი — ტორონტო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 889 | დეტროიტი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 890 | ნეშვილი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 891 | კოლორადო — რეინჯერსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 892 | ედმონტონი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 893 | ფინიქსი — დალასი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 894 | ვანკუვერი — ფლორიდა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 895 | სან ხოსე — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 6 ნოემბერი | | | |
| 896 | ბოსტონი — ატლანტა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 897 | ბუფალო — აილენდერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 898 | ოტავა — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 899 | ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 900 | პიტსბურგი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 901 | კალგარი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 902 | ლოს ანჯელესი — ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 903 | სან ხოსე — დალასი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | 7 ნოემბერი | | | |
| 904 | კაროლინა — ვაშინგტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 905 | ტამპა ბეი — დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 906 | ჩიკაგო — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 907 | ანაჰაიმი — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 908 | ვანკუვერი — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### რაგბი. მსოფლიოს თასის ფინალი

6 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 909 | ავსტრალია — საფრანგეთი | 1,3 | 7,0 | 3,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს ... მული სპორტული შეჯიბრების შედეგი ... ბში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწორივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწორივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითარის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შეტანილ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონი, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას ენიჭება მოგებული ძალა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდეგ პირველსავე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე მოგების თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ გათამაშებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



პოლ გესქოინი

# ხუთი კაცი და მათი ძაღლები

## რა ქნას საბრალო პოლ გესქოინმა?

ხანდახან იმ კაცის გახსენებაც კარგია, ოდესღაც, საყვარელი ფეხსაცმელივით სულ თვალწინ რომ ტრიალებდა, წლების მერე კი საკუჭნაოში ამოჰყო თავი და ათასში ერთხელ გადააწყდები ხოლმე. ინგლისელი ჟურნალისტი პიტ გელი ამ წერილში პოლ გესქოინის ბედზე წუხს.

პოლ გესქოინი კვლავაც რჩება თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფეხბურთელად. ამიტომაც გახლავთ ერთობ სამწუხარო ცქერა იმისა, თუ როგორ შეალია ბოლო წლები ტრავმებთან ბრძოლას. მისი სურვილი, აღიდგინოს ის ფორმა, რომლის წყალობითაც ოდესღაც საფეხბურთო მოდის ერთ-ერთი კანონმდებელთაგანი იყო, სურვილადვე რჩება.

მიუხედავად ამისა, „მიდლსბროს" მწვრთნელმა, ბრაიან რობსონმა საჯაროდ დაუჭირა მხარი თავის მოთამაშეს, რომელმაც შესაძლოა, ველარასოდეს ითამაშოს უმაღლეს დონეზე: „გაზა არ იყიდება. ის უმაღლესი დონის ფეხბურთელია, თუმცა ტრავმებმა გააწამეს".

რობსონის სიტყვები გესქოინისთვის დიდი ვერაფერი დამშვიდებაა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ამ სეზონში მხოლოდ ექვსჯერ შეძლო მოედანზე გასვლა. ბოლოს გულშემატკივრებმა იგი დაახლოებით ერთი თვის წინ იხილეს. ეს გახლდათ მატჩი „ჩელსის" წინააღმდეგ, რომელმაც თვალნათლივ გამოაჩინა, როგორ დაცემულა ოდინდელი ვარსკვლავი: მოედანზე შემცვლელად შესულმა სულ რაღაც 20 წუთი ირბინა, მერე კი, როგორც თავად ამბობს, „ინდუსტრიული ინგლისურისთვის" გააძევეს და სულ ეს იყო.

მისი თამაში გუნდსა და მატჩზე გავლენას ველარ ახდენს. ასევეა დისციპლინის ამბავიც. გასულ სეზონში გაზა 13-ჯერ გააფრთხილეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი გაანჩხლებულია და თანაგუნდელებისთვისაც მძიმე ტვირთად ქცეულა.

რობსონის განცხადება, რომ გესქოინი სხვა გუნდში არ გადავა, კარგია თუ ცუდი გესქოინისთვის, კიდევ საკითხავია. საქმე ის გახლავთ, რომ „მიდლსბრომ" ბოლო ოთხი შეხვედრა მოიგო, რაც მნიშვნელოვანწილად ნახევარმცველების, ჟუნინიოს, კრისტიან ციგეს და პოლ ინსის დამსახურებაა. ამრიგად არანაირი საჭიროება იმისა, რომ შაბათს, „სანდერლენდთან" შეხვედრაში იგი ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს, არ არსებობს.

შესაბამისად, გესქოინის გუნდში ყოფნამ და ართამაშმა სრულიად შესაძლებელია, ალაშფოთოს „მიდლსბროს" თავმჯდომარე სტივ გიბსონი, რომელიც გაზას ერთობ სოლიდურ ხელფასს უხდის და ტვინს ის გარემოება ულრღნის, რომ 1998 წელს, გესქოინში „რეინჯერსისთვის" 3,5 მილიონი გირვანქის გადახდა მისი სატრანსფერო პოლიტიკის კრახი გამოდგა.

მეორე მხრივ, ნაკრებში 57-ჯერ ნათამაშებმა გამთამაშებელმა მშობლიური ჩრდილო-აღმოსავლეთი რომ დატოვოს, ჩნდება ერთობ შემაშფოთებელი კითხვა — ვის სჭირდება გესქოინი, მით უფრო, თუ პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერას დაასრულებს? თუმცა იმედია, რომ იგი პრემიერლიგაში თუ ვერა, ქვედა დივიზიონებში მაინც ივარგებს.

აშშ-ში გადაბარგება ადრევე გამორიცხა — თავად გამორიცხა. არადა, ამით ბრიტანული მასმედიის ავ ყურადღებას მაინც აიცილებდა თავიდან, თუმცა ისიც საკითხავია, შეძლებდა კი ნათესავების, ოჯახის ათასგვარი ჩვეული სიყვარულის გარეშე ცხოვრებას?

საბოლოოდ გესქოინისთვის საუკეთესო გამოსავალი სადმე პირველ დივიზიონში, „ბლექბერნისა" და „ვულვერჰემპტონის" ტიპის გუნდში მოწყობა იქნებოდა, რაც ადგილობრივი მაყურებლის მიზიდვასაც გამოიწვევდა. იქ გაზა გალაღდებოდა და თავიდან აიცილებდა რუხ, უსახელო ყოფასა და დაუსრულებელ ვარჯიშს ხუთი უსაქმო მამაკაცისა და მათი ძაღლების წინაშე.

თარგმნა ბაპუნა ძედიამ

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „ტოტენჰემის" შემოსავლები ამ დღეებში კიდევ რამდენიმე მილიონი დოლარით გაიზარდა. ამის გამო ფეხბურთელთა და მწვრთნელთა ხარჯებმა 31 პროცენტით მოიმატა და 20 მილიონი გირვანქა შეადგინა. ხელმძღვანელობის განცხადებით, ახალ სატელევიზიო კომპანიებთან ურთიერთობა კლუბს დადებითად უნდა წაადგეს და მეტი თავისუფლება მიანიჭოს. მათივე თქმით, კვლავაც აპირებენ სხვადასხვა საშემოსავლო სახსრების ძიებას და ბიუჯეტის გამდიდრებას.

ბელარუსის ეროვნული ნაკრებისა და ვიტებსკის „ლოკომოტივის" ფეხბურთელის ვიტალი ალეშჩენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმებმა მეტად კრიტიკულად მიიჩნიეს. ალეშჩენკოს ერთ-ერთი ღამის ბარ-კლუბში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს გულის არეში. იგი ახლა ერთ-ერთ ჰოსპიტალშია მოთავსებული.

ესპანური „ბეტისის" აწ უკვე ყოფილი მცველი, პარაგვაელი სელსო აიალა, რომელსაც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 43 მატჩი აქვს ჩატარებული, გუშინ მადრიდის „ატლეტიკოს" შეუერთდა. აიალამ გუშინვე მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც იგი კლაუდიო რანიერის გუნდის საკუთრება სამწლინახევრის მანძილზე იქნება. როგორც ჩანს, „ატლეტიკოს" მწვრთნელი რანიერი დაცვაში აქცენტს პარაგვაელებზე აკეთებს, იქ ხომ კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი, პარაგვაის ეროვნული ნაკრების კაპიტანი კარლოს გამარა თამაშობს. აიალა პირინეის ნახევარკუნძულს შარშან ეწვია, როდესაც „ბეტისმა" არგენტინულ „რივერ პლეიტს" მის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი გადაუხადა. სევილიაში ყოფნისას აიალას უცნაური ფაქტი შეემთხვა. იგი ისე გაუჩინარდა კლუბიდან, რომ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. „ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას მისი საძებრად კერძო დეტექტივის დაქირავებაც მოუხდა. ჰოდა, იპოვეს კიდეც. აიალა ატლეტიკოელია.

იტალიის „მილანი" ჩემპიონთა ლიგის H ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა და ცნობილმა სატოტალიზატორო კანტორებმა ახალი ფსონები გამოაქვეყნეს. ვინ აიღებს ჩემპიონთა თასს. ლონდონურმა სატოტალიზატორო კანტორამ, „უილიამ ჰილმა" ფავორიტებად ერთბაშად სამი კლუბი — ესპანური „ბარსელონა", იტალიური „ლაციო" და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" შერაცხა, მათი შანსები თანაბარია (4-1). შემდეგ მადრიდის „რეალი" (8-1), მიუნხენის „ბაიერნი" და ლონდონის „ჩელსი" (10-1), ესპანური „ვალენსია" (16-1), ფრანგული „ბორდო", იტალიური „ფიორენტინა", კიევის „დინამო" და მარსელის „ოლიმპიკი" (20-1), როტერდამის „ფეიენოორდი", ტრონჰეიმის „რუსენბორგი" (33-1), „ჰერტა" და „პორტუ" (40-1) და პრაღის „სპარტა" (66-1) მოდიან.

იტალიურ კლუბ „ვენეციას" ოფიციალური განცხადებით, გუნდის მთავარი მწვრთნელი ლუჩიანო სპალეტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ადგილზე ლისაბონის „სპორტინგის" ყოფილი თავკაცი ჯუზეპე მატერაცი დანიშნეს. „ვენეციას" ფრანჩესკო გვიდოლინზე ეჭირა თვალი, მაგრამ გასულ კვირას იგი „ბოლონიას" ჩაუდგა სათავეში და მისი კანდიდატურა გამოირიცხა. შეგახსენებთ, რომ მატერაციმ „სპორტინგი" გასულ თვეში დატოვა. „ვენეცია" ახლა სერია A-ს ცხრილის ფსკერზეა და ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ახალი თავკაცი დაეხმარება გუნდს, კრიზისს თავი დააღწიოს.

EURO 2000

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

პლეი ოფი

ირლანდია — თურქეთი

თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ იმ 21 მოთამაშის სია გამოაქვეყნა, რომლებიც 13 ნოემბერს დუბლინში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი ოფის მატჩისთვის გამოიძახა. თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანზეა. უეჭველია, ისინი ირლანდიელთა დამარცხებას შეეცდებიან. შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა 13 ნოემბერს ირლანდიაში, ხოლო განმეორებითი 17 ნოემბერს თურქეთში გაიმართება.

*მეკარეები: რუშთუ, ენგინი (ორივე ფენერბაჰჩე)*

*მცველები: ოგიუნი, ალფაი, საფეტი (ყველა ფენერბაჰჩე), ფატიჰ აკიელი, ჰაქან უნსალი (ორივე გალათასარაი), ბესერლერი (ბეშიქთაში), მერთი (გაზიანთეფსფორი)*

*ნახევარმცველები: ტაიფური (ბეშიქთაში), დავალა უმითი, არიფი, ოქანი, თუგაი, ერგუნი (ყველა გალათასარაი), სერგენი, ტაიფუნი, აბდულა (ყველა ფენერბაჰჩე)*

*თავდამსხმელები: ჰაქან შუქური, საფეტი (ორივე გალათასარაი), ქარან უმითი (გენჩლერბირლიგი)*

# ფეხბურთელებმა პიცურკას აჯობეს

გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს რუმინეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა, მიუხედავად იმისა, რომ მან გუნდს ევრო 2000-ის საგზური მოუტანა. როგორც რუმინული პრესა იუწყება, პიცურკას გუნდიდან გათავისუფლების მიზეზი ნაკრების ლიდერებთან — გეორგე ჰაჯისთან, ჯიკა პოპესკუსთან და დან პეტრესკუსთან დაძაბული ურთიერთობაა. ფეხბურთელები აცხადებდნენ, მისი ბრალია, ნაკრებში უთანხმოება რომ სუფევსო. ლიდერებს კვერი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამაც დაუკრა და საგანგებო სხდომაზე ხმათა უმრავლესობით, 12 ოთხის წინააღმდეგ, მწვრთნელი გადააყენეს. როდის დაინიშნება ნაკრების ახალი მწვრთნელი, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუმც ფედერაცია ირწმუნება, ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევაო. ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად მირჩა ლუჩესკუს ასახელებენ, რომელიც ახლა ბუქარესტის „რაპიდს" თავკაცობს. მანამდე კი იტალიური გრანდის, მილანის „ინტერის" მწვრთნელი გახლდათ.

# გუდიონდსენი ქინქლაძის პასს ვერ მიიღებს

„დერბი ქაუნთიმ" მართალია, გიორგი ქინქლაძის შეძენისას იყოჩაღა, მაგრამ „ბოლტონიდან" ისლანდიელი თავდამსხმელის, 21 წლის ეიდურ გუდიონდსენის 3 მილიონ გირვანქად ყიდვა არ გამოუვიდა.

„დერბის" მწვრთნელს, ჯიმ სმიტს ფრიადაც სურდა გუდიონდსენის გადაბირება, ოღონდ ესაა, პირველი დივიზიონის კლუბმა შეთავაზებული თანხა იცოტავა.

„ბოლტონელებს გასულ პარასკევს დავუკავშირდით, მაგრამ ისინი დაფიქრდნენ და გვიპასუხეს, რომ 3 მილიონი ამ საქმისთვის საკმარისი ფული არ არის. მას მერე მოლაპარაკებებში იოტისოდენა პროგრესიც არ ყოფილა" — განაცხადა სმიტმა, რომელსაც ახალ სეზონში უხეირო სტარტის შემდეგ გუნდის განახლება და გაძლიერება სწადია.

გუდიონდსენმა „დერბის" მწვრთნელი ლიგის თასზე მოხიბლა. „ბოლტონისა" და „დერბის" მატჩი გასულ თვეში პრაიდ პარკზე შედგა და „ბოლტონმა" 2:1 მოიგო.

სმიტის სატრანსფერო აქტიურობა ამტკიცებს, რომ „დერბის" სალაროში კიდევ მოიძებნება ფული ახალი მოთამაშეების შესაძენად.

# ჰენდრი ახალგაზრდობას იხსენებს



კოლინ ჰენდრი

შოტლანდიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი კოლინ ჰენდრი მომავალ ორშაბათს გლაზგოური დერბის — „რეინჯერსისა" და „სელტიკის" 21-წლამდელთა გუნდების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. ამით იგი კიდევ ერთხელ დაარწმუნებს ყველას და პირველ რიგში საკუთარ თავს, რომ მზად არის, შოტლანდიის ნაკრებში ითამაშოს ინგლისის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ.

ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის ეს მატჩები 13 და 17 ნოემბერს უნდა გაიმართოს.

თავად 33 წლის ჰენდრი აცხადებს, რომ მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რადგან კარგა ხანია, მინდორზე 90 წუთი არ ყოფილა და უკანასკნელად ეს 25 სექტემბრის შოტლანდიის ჩემპიონატის ტურში „სენტ ჯონსტონის" წინააღმდეგ შეძლო.

ჰენდრიმ გასულ თვეში ბოსნიის ნაკრებთან მატჩში მცირე ტრავმა მიიღო და ამან კიდევ უფრო ამოაგდო ფორმიდან.

ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელ კრეიგ ბრაუნის განცხადებით, ახლა ჰენდრი იდეალური ფორმიდან საკმაოდ შორსაა და ამიტომ მომავალ პლეი ოფში მისი მონაწილეობის საკითხი საეჭვოა, თუმც მის თამაშს არც გამორიცხავს.

უკანასკნელ ხანს ჰენდრის პრემიერლიგაში გადასვლაზეც კი იყო საუბარი. მისდამი ინტერესს თითქოს „დერბი" იჩენდა, მაგრამ მისი ტრავმის გამო ტრანსფერი არ შედგა. საერთოდ, პრემიერლიგის გამოცდილება შოტლანდიელს ნამდვილად არ აკლია. იგი 14 თვის წინ დაბრუნდა სამშობლოში. გუნდმა ის აწ უკვე პრემიერლიგიდან გავარდნილი „ბლექბერნიდან" 4,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. მაშინ ჰენდრიმ 9 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას „შინ დაბრუნების ოცნება" უწოდა. თუმცა გასულ სეზონში მხოლოდ 25 მატჩი ჩაატარა და აქედან სასტარტოში მხოლოდ რამდენჯერმე მოხვდა.

წლევანდელ სეზონში კი თითქმის სულ არ ჩანს გუნდის შემადგენლობაში. სულ რამდენიმე მატჩში ითამაშა და ისიც უმეტესწილად შეცვლაზე შედიოდა.

# შვილს გეფიცებით, არ მიკბენია

## ამბავი ვითომკბენისა, რომელმაც ტურნერი კინაღამ უტურნიროდ დატოვა

მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ახალ ზელანდიასთან გამარჯვება ფრანგთა მორკინალ ფრანკ ტურნერს კინაღამ ძვირად დაუჯდა. მატჩის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ მას ერთ-ერთი „შავის" კბენას აბრალებდნენ, მაგრამ გუშინ გაამართლეს და ფინალურ მატჩშიც ითამაშებს.

„ჩვენ მოვისმინეთ მორაგბის ახსნა-განმარტება და ჩავთვალეთ, რომ იგი სრულ სიმართლეს ამბობდა და უდანაშაულო იყო" — ნათქვამია მსოფლიოს თასის სადისციპლინო კომისიის ოფიციალურ კომუნიკეში.

თანაც, „დაზარალებულის" სხეულზე ტურნერის კბილების კვალსაც ვერ მიაგნეს. ვიდეოჩანაწერზე კი ისე ჩანდა, თითქოს „მამლების" მორკინალი 42-ე წუთზე ახალი ზელანდიის კაპიტან ტეინ რენდელს ყურზე კბენდა.

„ფრანკის დასაცავად მე და პიერ ვილეპრო მივედით, რადგან დარწმუნებულები ვიყავით, რომ იგი ასეთ უმსგავსო საქციელს არ ჩაიდენდა" — თქვა საფრანგეთის ნაკრების მენეჯერმა ჟო მაზომ. პიერ ვილეპრო კი მთავარი მწვრთნელის, ჟან-კლოდ სკრელას დამხმარეა. ჟო მაზომ იქვე დაამატა, ტურნერს ყველაზე ძვირფასი რამ, მისი შვილი დაავფიცე და ისელა ვირწმუნე, რომ რენდელისთვის არ უკბენიაო.

„კომისიამ ისიც გაითვალისწინა, რომ ახალზელანდიელებს მატჩის დამთავრების შემდეგ საჩივარი არ შეუტანიათ, „ფსევდოკბენის" მერე კი თვით რენდელსაც არ მიუმართავს მსაჯებისთვის" — განაცხადეს სადისციპლინო კომისიის წევრებმა.

არადა, ტურნერს, რომელსაც უკვე ჰქონდა დისკვალიფიკაცია 1997 წლის ხუთი ერის პირველობისას, ასეთი რამ მართლა რომ ჩაედინა, საერთაშორისო სარბიელიდან ერთიდან სამ წლამდე მოკვეთა ემუქრებოდა.

**გაიოზ თალაკვაძე**



ფრანკ ტურნერი



ლოკომოტივი 1 — დათვები. ბათუმელებმა (მუქ მაისურებში) რკინიგზელებს თბილისში არაფერი დაუთმეს და ლიდერობაც შეინარჩუნეს

# ღმერთმა უწყის, რა მოხდება

დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს თასის გათამაშება და უკვე ცნობილია მესამე ადგილზე გასული გუნდი. ხვალ უკვე ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა. საქართველოს ეროვნულ პირველობაზე კი მხოლოდ პირველი წრის შეხვედრები მორჩა. თუ ბრიტანეთის კუნძულებზე თითქმის ყველაფერი ნათელია, ჩვენთან საკმაოდ ნერვიული და დაძაბული სიტუაციაა.

ოთხეულის თამაშების მონაწილე გუნდებმა 6-6 შეხვედრა ჩაატარეს და უკვე იკითხება ეროვნული პირველობის ინტრიგა. ჩემპიონობისთვის ერთბაშად სამი გუნდი იბრძოლებს. „დათვებს", „ყოჩებს" და „ლოკომოტივს" თითქმის თანაბარი შანსები აქვთ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. პირველსა და მესამე ადგილზე მყოფ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ 6 ქულაა. სწორედ ამის გათვალისწინებით მეორე წრეში უაღრესად საინტერესო და დაძაბულ თამაშებს უნდა ველოდოთ.

თუ გავიხსენებთ, ეროვნული პირველობის I ეტაპი მსგავსი შედეგებით დასრულდა. გუნდებიც ადგილებზე დარჩნენ, თუმც შეხვედრები ერთობ დრამატულად მიმდინარეობდა. „დათვებთან" შეხვედრაში ყველა ცდილობს, კარგად გაისარჯოს და ჩემპიონობის უპირველეს პრეტენდენტს თანაბრად ეთამაშოს. ბათუმელები ამის გამო ერთობ შეჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რადგან თვით ასკ-ც, რომელმაც პირველი წრის განმავლობაში ერთი ქულაც ვერ მოიპოვა, არაფერს უთმობს მრისხანე სახელის მქონე მეტოქეს და ყოველი ქულისთვის ნამდვილი ომი აქვს გაჩაღებული. გავიხსენოთ 28 სექტემბერს ბათუმში და 18 ოქტომბერს თბილისში გამართული შეხვედრები. პირველად არმიელებმა ტაიმი 17:17-ზე დაუმთავრეს და მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს ბათუმელებმა მეტოქის დაჯაბნა, მეორედ კი უგებდნენ კიდევაც პირველ ნახევარს 11:7 და რომ არა არმიელთა არასაკმაო ფიზიკური მომზადება, ვინ იცის, ეს მატჩი რით დამთავრდებოდა.

არა, ნამდვილად არ ჰქონია იოლი წრე ბათუმის „დათვებს", ის კი არა, „ყოჩებმა", რომელმაც მკვეთრად მოუმატა თამაშს და აღარც მალავს თავის ამბიციებს, მოუგო კიდეც საკუთარ მოედანზე. იმ თამაშში სტუდენტები ნამდვილად ჯაბნიდნენ ზღვისპირელებს (პირველი ტაიმი 19:0 მოიგეს).

„ყოჩებს" წინ გაჭრის ყველაზე მეტი შანსი „ლოკომოტივი 1" — „დათვების" შეხვედრისას ჰქონდა. ეს მატჩი რომ რკინიგზელებს მოეგოთ, ნაღდად ყველაფერი აირეოდა, მაგრამ, სტუდენტების სამწუხაროდ, დათვებმა ფრეს მიაღწიეს და პირველი ადგილი შეინარჩუნეს 3-ქულიანი მარაგით.

შარშანდელი ჩემპიონი წლეულსაც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები ყველაზე ლამაზად და გააზრებულად ირჯებიან. მათ თამაშში ყველაფერია — მახვილგონივრული კომბინაციები, ელვისებური გარღვევები, უძლიერესი შერკინებები. ფიზიკურადაც შესანიშნავად არიან მომზადებული და მათი მეორე ადგილი (ჯერჯერობით) ნამდვილად არ არის შემთხვევითი. „ყოჩები" ის გუნდია, პლეი ოფის პირველ წრეში ყველაზე მეტი ლელო რომ გაიტანა ერთ თამაშში. ეს ასკ-თან შეხვედრაში მოხდა. მაშინ სტუდენტებმა 8-ჯერ დადეს ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე.

რკინიგზელები არაფრით ჩამორჩებიან სახელოვან მეტოქეებს. მათი ფიზიკური მომზადება ნამდვილად შესაშურია. „ლოკომოტივს", არ შევცდები თუ ვიტყვი, ეროვნულ ჩემპიონატში უძლიერესი შერკინება ჰყავს, აქვს მებრძოლი სული და, რაც მთავარია, შეუძლია ერთი შეხედვით წაგებული მატჩების შემობრუნება, როგორც ეს „დათვებთან" ბათუმის შეხვედრაში მოხდა.

„ლოკომოტივს" ძალისმიერი რაგბი უყვარს და მის თამაშებს არც თუ იშვიათად შეხლა-შემოხლა მოსდევს. ასე იყო პირველ წრეშიც, თუმცა, როგორც წესი, აყალმაყალი მოედანს არც არასდროს გასცდენია, ვინაიდან რაგბს ჯენტლმენები თამაშობენ.

ოთხეულში ყველაზე სუსტად ასკ-ი გამოიყურება, თუმცა გარეგნულად ამას ვერ იტყვი. როგორც წესი, არმიელები მატჩის დასაწყისში არიან ძლიერები და ნებისმიერ მეტოქეს ტოლ-სწორად ეპაექრებიან, მხოლოდ „ლოკომოტივთან" არ გამოუვიდათ თამაში. მართალია, არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ, მაგრამ მეტოქეები არმიელებისგან ყოველთვის ელიან სიურპრიზებს.

პირველი წრე დამთავრდა, მაგრამ მთავარი ბრძოლები კიდევ წინ არის. გუნდებმა კიდევ 6-6 შეხვედრა უნდა გამართონ და ყოველ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ეს პატარა შუალედი, რაც მეორე წრის დაწყებამდეა, ერთგვარი სულის მოთქმის საშუალებას იძლევა. ზოგიერთები ამას ფიზიკური კონდიციების ასამაღლებლად გამოიყენებენ, ზოგიც — თავისი ტაქტიკური სქემების დასახვეწად. ერთია ცხადი. მეორე წრის შეხვედრებში დაძაბულობა ნამდვილად არ მოიკლებს, თუ არ მოიმატებს. წინასწარი პროგნოზების გაკეთება კი შეუძლებელია, ყველაფერია მოსალოდნელი.

**ზაზა ბენიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 22 | 17 | 3 | 2 | 54 |
| ყოჩები | 22 | 18 | 0 | 4 | 51 |
| ლოკომოტივი 1 | 22 | 16 | 3 | 3 | 48 |
| ასკ | 22 | 8 | 2 | 8 | 31 |



# ევანდერი მსჯელობს

## ღმერთი, კრივი და უკანონო შვილები

*ახლოვდება ცამეტი ნოემბერი, როცა მძიმე წონის ჩემპიონის გამაერთიანებელი ტიტულისთვის ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ბრიტი ლენოქს ლუისი და ევანდერ ჰოლიფილდი.*

*მათი ბრძოლით გაირკვევა სამივე ვერსიის ჩემპიონი, რომელიც ახალ საუკუნეში სამი მოოქროვილი ქამრით შეაბიჯებს*



ევანდერ ჰოლიფილდი

ლენოქს ლუისი ამერიკაშია — პენსილვანიაში დაუცია ბანაკი და იქ ემზადება ბრძენი მწვრთნელის ემანუილ სტიუარდის ხელმძღვანელობით.

ევანდერ ჰოლიფილდი კი ჰიუსტონშია, საკუთარ სახლში და იქ ვარჯიშობს. ჰოლიფილდის საშინაო სამოსი ასეთია — შორტები და თეთრი მაისურა, რომელსაც მისი ღერბი ახატია. ღერბი წარმოადგენს ფარს, რომელზეც ხელთათმანები, გული და ასოები H და W-ა გამოხატული. H — ჰოლიფილდს ნიშნავს, W — მებრძოლს (ვორიორ), გული — სიყვარულს, ხელთათმანი — გასაგებია რასაც. ევანდერი ქუჩის საჭმლის მოტრფიალეა: უყვარს ჰოთდოგები და ასეთი რამეები, ზედ მოსხმული კეტჩუპით. ამას რამდენიმე მოხარშულ კვერცხსაც დაუმატებს და საუზმეც მზადაა. სახლში მუდმივად ჩართულია მაგნიტოფონი და ისმის ზანგური სასულიერო მუსიკა.

ჰოლიფილდი კვლავაც ღრმადაა ჩაფლული ერთი ზანგური ეკლესიის ცხოვრებაში და მის ყოველ ადათს იცავს.

მაგრამ ახლა, გახურებული ვარჯიშის დღეებში, მას დრო არა აქვს, რათა ბევრი ისაუბროს თავის რწმენაზე, მუდმივად ახურავს თავისი განთქმული კეპი, რომელსაც „იესო" აწერია და ყოველი ვარჯიშის წინ ბუტბუტებს მაცხოვრისა და ღვთის სიტყვებს ბიბლიიდან. კარგა ხანია, რაც ევანდერი ასე იქცევა — ღმერთს უხმობს ბრძოლის წინ. ასე იყო ტაისონთან პირველი შეყრისას, როცა ჰოლიფილდს ფავორიტად არავინ თვლიდა. მას შემდეგ ლოცვა მისი განუყრელი თანამგზავრია. აკი ამბობს კიდეც, ეს ჩემი ერთგვარი თილისმაა — ქრისტეს სახელით მუსლიმ ტაისონს დავუპირისპირდი და ღვთიურმა ძალამ გამამარჯვებინა. თანაც, ტაისონი ბოროტად მომექცა, მაგრამ სიავე გულში არ ჩამრჩენია, რასაც ასევე ქრისტეს სწავლებამ მიმაჩვიაო.

ასე რომ, ჰოლიფილდი კარგად მოიხმარს თავის რელიგიურობას და ამით პირად რეკლამასაც ახერხებს.

მაგალითად, ჰოლიფილდს ხშირად ეკითხებიან, 37 წლის კაცი ხარ, საპატიო ჩემპიონი, მილიონების მომხვეჭი და ასე შემდეგ, რაღად გინდა ამდენი ბრძოლა და ამდენი ფული, ჩრდილში მოექეც და იცხოვრე შენი რწმენის შესაბამისადო. ის კი პასუხობს:

„ერთი მხრივ, ასეა, მაგრამ მე სიტყვას ველი. ჯერ არ მოსულა სიტყვა, რომელიც რინგის დატოვებას მირჩევს. მჯერა, რომ ღმერთს გეგმები აქვს ჩემთან დაკავშირებით. ძნელ ბრძოლაში ვებმები და ვიცი, რომ ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ძალას მმატებს ის, რომ ისეთი ვარ, როგორადაც უფალმა მაქცია".

და როგორ ერთვება ღმერთი საკრივო ბრძოლაში?

„მას უნდა, რომ მწვერვალზე მყოფი წავიდე და არა დამარცხებული!"

ასოციაციისა და ფედერაციის ჩემპიონი აცხადებს, რომ ღმერთისა და კრივის სიყვარული ერთი და იგივეა. თუ საუკეთესო მოკრივე ხარ, ღმერთის რჩეულიც ყოფილხარ.

ამ გაზაფხულზე, ლუისთან პირველი შეყრისას, რომელიც ფრედ გამოცხადდა საერთო აზრით კი ჰოლიფილდმა წააგო, ევანდერი ძალიან გააბრაზა მოწინააღმდეგის გამონათქვამმა, რატომ აწუხებს ეგ კაცი ღვთის სახელს, როცა ცხრა შვილიდან ხუთი უკანონოდ ჰყავსო.

მას შემდეგ, რაც 1996 წელს უკანასკნელად დაქორწინდა, ევანდერს ორი შვილი ეყოლა. ამ ორს და კიდევ ერთს თავისთან აცხოვრებს, დანარჩენებს კი უშურველად არჩენს, ამიტომ ცუდ მამობას ვერავინ დასწამებს. რაც შეეხება მის მექალთანეობას, ჩემპიონი ყველაფერს აღზრდას აბრალებს, მამაჩემს ოცდაერთი შვილი ვყავდით და არავის უსწავლებია, რომ ფლოვიანობა ულირსი საქმეაო. ხოლო რაც ღვთის სიტყვა ჩამწვდა ყურში, მივხვდი, რომ უცოლოდ აღარასოდეს გავაჩენ ბავშვსო.

მისი უფროსი ვაჟი, ასევე ევანდერი, (ყველა შვილის სახელი ეიზე იწყება) უკვე 15 წლისაა და მამა ეუბნება, ასე არასოდეს მოიქცეო.

ცოტა სხვაგვარად კი, ევანდერს მიაჩნია, რომ სახალხო კაცია და სანამ რელიგიურად უმეცარი იყო, იმასვე აკეთებდა, რასაც სხვები. ასე რომ, ამ მხრივაც მაგალითად გამოადგება ჩვეულებრივ ადამიანებს.

მაგალითისა რა გითხრათ.

ცამეტი ნოემბერი და ხვალეო. ლას ვეგასი ელის მას — ეგებ ყველაზე მტკივნეული დამარცხებისთვის კარიერის მანძილზე.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**თემურ ხუბულური**

**ძიუდო**

*დაიბადა 1955 წლის 24 მაისს გორის რაიონის სოფელ სკრაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1979, 82), ორგზის ვერცხლისა (1974, 80) და ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი (1975), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის გამარჯვებული, ევროპის სამგზისა (1976, 77, 79) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1979, 81), 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი.*



1. ყველაზე სასიხარულო იყო 1979 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე აბსოლუტური წონითი კატეგორიის ფინალში გამარჯვება, სადაც ოლიმპიურ ჩემპიონ სერგეი ნოვიკოვს მოვუგე.

ყველაზე უსიამოვნო მოგონება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება. მე და ჰოლანდიელი რობერტ ვან დერვალი სულ ცხრაჯერ შევხვდით ერთმანეთს. აქედან რვაჯერ მე მოვიგე და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდი. ბედის ირონია იყო, რომ ის ერთი შეხვედრაც მოსკოვში წავაგე, სწორედ მაშინ, როცა გამარჯვება ყველაზე მეტად მჭირდებოდა. მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩვენ მეშვიდედ ვიჭიდავეთ. ამის მერე დერვალს კიდევ ორჯერ შევხვდი და ორჯერვე ვძლიე.

2. ქართული სპორტის კრიზისს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. უმთავრესი მაინც ფულია. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ასეა — ამა თუ იმ ფედერაციას წლის დასაწყისში თავის ანგარიშზე ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა აქვს. ფედერაციამ იცის თავისი ბიუჯეტის ოდენობა და კალენდარს იმის მიხედვით ადგენს. ჩვენთან კი რა ხდება? ფედერაციები იმ მცირე თანხებსაც ვერ იღებენ, რასაც სახელმწიფო გამოუყოფთ. ამიტომაა ჩაშლილი სპორტული ცხოვრება. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსები ისედაც არასაკმარისია, მაგრამ დროულად მასაც ვერ იღებენ. საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციის ყველაზე დიდი მიღწევა ევროპის ჩემპიონატზე დაკავებული მეშვიდე ადგილია, მათი ფედერაციის ბიუჯეტი კი 600 ათასი დოლარია. ბერძნებს მსოფლიოს პირველობის პრიზიორიც კი არ ჰყავთ. საბედნიეროდ, ჩვენთან ასეთები სანთლით საძებნი არ არიან, მთლიანად ქართულ სპორტს კი 600 ათას დოლარზე ცოტა მეტი ხმარდება.

თავისი როლი უნდა შეასრულოს რეკლამამაც. ამ საქმეში პრესა-ტელევიზიამაც უნდა თქვას სიტყვა. თქვენ მთლიანად ქართულ სპორტზე მკითხეთ, მაგრამ მე დავკონკრეტდები და ჩემს სახეობაზე — ძიუდოზე, ჭიდაობაზე ვიტყვი. როცა საქმე ფეხბურთს ან კალათბურთს ეხება, მაშინ საინფორმაციო საშუალებები უფრო ხმაურობენ, ჭიდაობა კი მეათეხარისხოვანია. ასე არ შეიძლება. პრესა ასე თუ ისე გვაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას, ტელევიზია კი საერთოდ დუმს. სამაგიეროდ, მრავლადაა უაზრო რეკლამები. ჩვენ იმას უნდა მივხედოთ, რაც უკვე განვითარებულია. იმ სახელოვან სპორტსმენებს, რომლებიც ისევ გვყავნან, ხალხი არ იცნობს. ახლა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე ორი ჩვენებური მესამე პრიზიორი გახდა, მაგრამ ამ ამბავმა უხმაუროდ ჩაიარა. არადა, ეს ცოტა არაა. რატომ მოვითხოვთ ჩვენი სპორტსმენებისგან მსოფლიოს ჩემპიონობას, როცა მათ საამისოდ თითქმის არაფერს ვუკეთებთ.?

3. ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, მაია ჩიბურდანიძე



# ვერშემდგარი შურისძიების ამბავი

**პარიზის ღია პირველობა. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 2,55 მილიონი $**

ორი წლის წინ მის კარიერას და საჩოგბურთო მომავალს ბევრმა ხაზი გადაუსვა და მეტი დამაჯერებლობისთვის თავის ქალაც დაახატა ზემოდან (ვაღიარებ და ვინანიებ), მაგრამ სპორტის ფენიქსი ანდრე აგასი, ყველა ავისმთქმელის ჯინზე, ამ სეზონს მსოფლიოს პირველ ჩოგნად დაასრულებს.

„ჩემთვის სეზონის კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე დასრულება ძალიან მნიშვნელოვანი და კიდევ ერთი ახალი მიღწევაა. მაგრამ ზეწოლა მაინც ისეთივე რჩება, ზეწოლა, რომელსაც საკუთარ თავს ახვევ, რომ უკეთესი გახდე. საუბედუროდ, მეტოქეებს არასოდეს სჯერათ, რომ პირველი ჩოგანი ხარ და თამაშის დროს გაიძულებენ, მუდმივად დაუმტკიცო ეს“ — განაცხადა ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის თაობაზე ანდრემ, რომელმაც 1997 წელი კლასიფიკაციაში 141-ემ დაასრულა.

ATP ტურის სარეიტინგო სიის 27-წლიან ისტორიაში აგასი მეათე ჩოგბურთელია, რომელმაც საპატიო ადგილზე მოკალათებულმა დაასრულა სეზონი. მანამდე კი ეს მოუხერხებიათ:

ილიე ნასტასე (რუმინეთი) 1973
ჯიმი კონორსი (აშშ) 1974-78
ბიორნ ბორგი (შვედეთი) 1979-80
ჯონ მაკინროი (აშშ) 1981-84
ივან ლენდლი (ჩეხეთი) 1985-87, 1989
მატს ვილანდერი (შვედეთი) 1988
სტეფან ედბერგი (შვედეთი) 1990-91
ჯიმ კურიე (აშშ) 1992
პიტ სამპრასი (აშშ) 1993-98

სეზონში 14 საუკეთესო ტურნირის შედეგებით აგასის ამჟამად 42 42 ქულა აქვს და 1115 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ევგენი კაფელნიკოვს.

25 წლის რუსი ერთადერთი იყო, რომელსაც პარიზის ტურნირისთვის ხოტორა ამერიკელის გადასწრების თეორიული შანსი მაინც ჰქონდა შერჩენილი, მაგრამ ზედიზედ მე-15 კვირა მოასპარეზე სოჭელმა ძველ ხელობას მიჰყო ხელი და ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. არადა, კაფელნიკოვს მეტოქის დამარცხება ასე ძლიერ იქნებ სიცოცხლეში არ სდომებია, იგი ხომ 18 წლის ლეიტონ ჰიუიტს ეთამაშებოდა.

ორიოდ თვის წინ დევისის თასის ნახევარფინალში, ავსტრალიელებთან შეხვედრისას ქენია დაიქადნა, ჰიუიტს გაკვეთილს ჩავუტარებ, რომელიც მწარედ დაამახსოვრდებაო. ის მატჩი კაფელნიკოვმა სამარცხვინოდ წააგო, გრძელთმიანმა ოზმა კი პრესკონფერენციაზე საფულიდან 100 დოლარი ამოიღო და დაცინვით შესთავაზა რუსს გაკვეთილის საფასურად.

ასეთ რამეებს იოლად არ ივიწყებენ და საფრანგეთის დედაქალაქში მეორე წრის ამ შეხვედრიდან ბევრი „ბრძოლა სიკვდილამდეს“ ელოდა. სწორედ ამიტომ მატჩს ბევრი კოლეგა-ჩოგბურთელი — მარსელო რიოსი, უეინ ფერერა, მარიანო ზაბალეტა, უეინ არტურსი და სხვები ესწრებოდნენ.

საჩოგბურთო სამყაროში კაფელნიკოვს ცივ, უჯიგრო და უკარება პიროვნებად იცნობენ და თვით რუსეთშიც კი გამუდმებით ხვდება მასმედიისგან უთავმოყვარეო გარჯის გამო, რაკილა ზოგჯერ ქენიას უბრალოდ, თამაში ეზარება და ყველანაირად უწყობს ხელს მეტოქეს გამარჯვებაში.

რუსმა ამჯერადაც ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ჰიუიტისთვის მერვედფინალის საგზური ეჩუქებინა, მატჩში უამრავი უნებლიე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს მოუნდომებლობის კი არა, პირიქით, ზედმეტი მოწადინების გამო მოუვიდა. კაფელნიკოვს იმდენად უნდოდა თავხედი ახალბედისთვის ჭკუა ესწავლებინა, რომ ერთობ ნერვიულობდა და კარგა ხნის მანძილზე არაფერი გამოსდიოდა.

პირველი ხელის ბოლოს საკუთარი უილაჯობისგან დაღლილმა და გაღიზიანებულმა რუსმა ბრაზი მსაჯზე გადმოანთხია და ჩოგბურთში, ალბათ, უპრეცედენტო რამ ჩაიდინა: მსაჯის ერთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ ფეხი მთელი ძალით ხეთქა მის კოშკურას. რეფერი ბრუნო გრილოტი ამან ისე გააოგნა, კაფელნიკოვი დაუსჯელად დატოვა.



პიტ სამპრასი

რუსზე ამ ინციდენტმა აშკარად სასიკეთოდ იმოქმედა, სულ მალე უპირატესობა ხელთ იგდო, ერთხელ ჰიუიტს პირდაპირ თავში დაუმიზნა სმეში და შეშინებული მიწას გააკრა, თავად კი მეორე სეტში 2:2-დან ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო.

თუმც ქენიამ ამ ტემპში გაგრძელება მაინც ვერ მოახერხა, თითქოს თანდათან ბრაზმაც გადაუარა და შეცდომებიც ისევ დაიწყო. ჰიუიტმაც ისარგებლა ამით და შურისძიება რუსს საგაისოდ გადაუდო — 6:4, 2:6, 6:4. კაფელნიკოვმა მეტოქეს ცივად, უბრად ჩამოართვა ხელი და თავჩაქინდრულმა დატოვა კორტი.

„არა მგონია, ამგვარი გაბოროტება მას დღევანდელ შეხვედრაში დახმარებოდა. ჯობდა, ყურადღება მატჩზე გაემახვილებინა და ჩემსავით არ ეფიქრა ბადის მეორე მხარეს ვინ იყო. ვფიქრობ, დღეს ჩემს ემოციებს ევგენის მიმართ საკმაოდ კარგად ვაკონტროლებდი, მსოფლიოს მეორე ჩოგნის ზედიზედ მეორედ დამარცხებამ კი დიდი სიამოვნება მომანიჭა — აღნიშნა ძვალტყავა ჰიუიტმა, რომელიც ცოტა სიმაღლესა და წონაში მომატების შემდეგ საუკეთესოთა ათეულში დაიდებს ბინას.

ამასობაში კი ATP ტურის ლაზარეთის ბინადართა სია სულ უფრო იზრდება.

მეორე წრეში ფრანსისკო კლავეტის დამარცხების მიუხედავად, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი მერვედფინალში ვერ ითამაშებს. სამშაბათს ზურგის ტკივილების გამო მან პრესკონფერენციაზეც კი ვერ მოახერხა დასწრება.

„მატჩის მანძილზე ზურგი სულ უფრო და უფრო მტკიოდა, ერთხელ, მკვეთრი მოძრაობის შემდეგ, დანის წვერივით დამკრა. სასტუმროში რომ დავბრუნდი, ოთახში სიარულიც კი მიჭირდა, ამიტომ გადავწყვიტე, რომ თამაშს აზრი არ ჰქონდა. უნდა გავუფრთხილდე ჩემს ჯანმრთელობას“ — განაცხადა „პისტოლ პიტმა“, რომელიც დისკოზის გამო აგვისტოდან მოყოლებული პირველად ასპარეზობდა.

ახლა სამპრასი აშშ-ში აპირებს დაბრუნებას, 10-15 დღე დაისვენებს და მერე გადაწყვეტს, ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ შეძლებს თამაშს.

მსგავს დღეშია პარიზის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი გრეგ რუზეცკიც. ინგლისელმა გასულ პარასკევს შტუტგარტში ფეხის კუნთი დაიზიანა და ესპანელ ალბერტ კოსტას პირველი სეტის შემდეგ ჩაბარდა.

„ეს ტრავმა ყველაფერზე ახდენს გავლენას, ვერ დავრბოდი, ორმაგ შეცდომებს ვუშვებდი. მძიმე არაფერია, მაგრამ არ მინდა, რამე გავართულო, მირჩევნია, თავი დავიზღვიო. ალბათ, ჩემი სეზონი ამით დასრულდება. აქ ტიტული რომ არ მქონოდა დასაცავი, არც ვითამაშებდი“ — ეს რუზეცკის სიტყვებია.

მეორე წრე: **აგასი** — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:4, 6:3; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ტოდ მარტინი (4, აშშ) 4:6, 7:6 (7:5), 7:6 (8:6); **მარატ საფინი** (რუსეთი) — გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) 7:6 (7:4), 3:6, 7:6 (7:4); **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — რიჩარდ კრაიჩეკი (8, ჰოლანდია) 7:5, 6:3; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — მარსელო რიოსი (9, ჩილე) 7:5, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (ინგლისი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 4:6, 7:6 (9:7), 6:4; **მარკ როსე** (შვეიცარია) — ალექს კორეტხა (12, ესპანეთი) 7:5, 6:3; **ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:2; **ჯიმ კურიე** (აშშ) — კარლოს მოია (14, ესპანეთი) 6:2, 6:1; **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — კაროლ კუჩერა (16, სლოვაკეთი) 6:3, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS პარიზიდან

ევგენი კაფელნიკოვი

## მთის თხილამურობა

# ქართველებისთვის ამერიკა ძალიან შორსაა

**მსოფლიოს** ფულიანი სამთომოთხილამურეებისთვის წლევანდელი სეზონი უკვე გაიხსნა, უფულოებისთვის კი (რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც ვართ) მაშინ დაიწყება, როცა ტურნირებზე წასასვლელ თანხებს იშოვიან. მდიდრებმა, აგერ, მსოფლიოს თასის პირველი ეტაპიც გამართეს.

ქართველთაგან მსოფლიოს უძლიერეს სამთომოთხილამურეებს წლეულს მხოლოდ სოფიო ახმეტელი გაეჯიბრება (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა გადაწყვეტილი), დეკემბრიდან კი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე წევრიც მიაშურებს ევროპას თანატოლებთან საპაექროდ. ახმეტელი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი 8 ნოემბერს გაემგზავრებიან ვენაში. იქ დაახლოებით ერთი კვირით წაივარჯიშებენ, სავარაუდოდ, ნოემბრის შუა რიცხვებიდან კი სოფიო ტურნირებშიც გამოვა. ეს იქნება სამთოსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილი შეჯიბრებები და ევროპის თასის ეტაპები. რაც შეეხება მსოფლიოს თასს, მისი ეტაპები ძირითადად აშშ-ში იმართება, იქ წასვლა კი ძვირი სიამოვნებაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი უფულო ფედერაციის შემყურე სპორტსმენებისთვის. ამიტომ ახმეტელი ამ პრიზისთვის მანამ ვერ ისრიალებს, სანამ მისი ეტაპი ევროპულ ტრასებსაც არ დააფასებს თავისი სტუმრობით, თუმცა არც ისაა გამორიცხული, საქართველოს ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ იქ გასამგზავრებელი თანხებიც გამოუძებნოს ჩვენებურებს (ან ჩვენებურს), თუ საარჩევნო ბატალიებმა სპორტული სულისკვეთება არ გაუქრო. არადა, წლეულს ლუდის ფირმა „ყაზბეგი კასტელის" პრეზიდენტმა ერთი კარგი საჩუქარი უკვე გაუხერხა თავის სპორტსმენებს. იგი მოელაპარაკა ავსტრიის ფედერაციის პრეზიდენტს, რის შედეგადაც ავსტრიელები ახმეტელს ერთ-ერთი გერმანული ფირმის წარმოებულ 10 წყვილ თანამედროვე ტიპის თხილამურს გადასცემენ ვენაში. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, ეს ავსტრიული ფედერაციის მხრიდან საქველმოქმედო ჟესტია, თუ ჩვეულებრივი სავაჭრო გარიგება. ეს არც აბრამიშვილმა და ახმეტელმა იციან, თოფაძეს კი ვერ დავუკავშირდით. მაგრამ თუნდაც მეორე ვარიანტი იყოს, ეს მაინც კარგი საქმეა. ახმეტელი შარშან სულ სამი წყვილი თხილამურით ასპარეზობდა და თავად წარმოიდგინეთ, რომელიმეს დაზიანება რამხელა პრობლემებს შეუქმნიდა. ამ დროს კი ზემოთ ნახსენები მდიდრები იმხელა ფუფუნებაში იყვნენ, კლიმატური პირობების სულ უმნიშვნელო ცვლილებების მიხედვით ირჩევდნენ თხილამურს.

თოფაძისა და მისი ავსტრიელი კოლეგის მოლაპარაკებამ კიდევ ერთი სიკეთე მოგვიტანა — დეკემბერში ამ ქვეყანაში ორკვირიან შეკრებაზე 10-12 წლის ქართველი ბავშვები წავლენ, რომლებიც იქ მასპინძელთა ხარჯზე ივარჯიშებენ.

**ირაკლი თავაძე**

## ველორბოლა

# რიისი და ტელეკომი: სიყვარული და ბუტიაობა

**1996 წლის** „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულის, დანიელი ბიარნ რიისის კონტრაქტის ვადა გერმანულ გუნდ „ტელეკომთან" გაისად ზაფხულში იწურება. როგორც დანიური გაზეთი „BT" ამცნობს სპორტულ სამყაროს, ტელეკომელები ამის შემდეგ რიისთან თანამშრომლობას აღარ აპირებენ და თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ველომრბოლი, შეიძლება, უმუშევარი დარჩეს.

თუ მომავალში არაფერი შეიცვალა, რიისს, ალბათ, ველარასოდეს ვიხილავთ ველომრბოლთა ტურნირებში, რადგან, მისი თქმით, იგი კარიერის რომელიმე სხვა გუნდში გაგრძელებას არ აპირებს. „ან „ტელეკომის სახელით ვიასპარეზებ, ანდა საერთოდ წავალ სპორტიდან" — განუცხადა ბიარნ რიისმა „BT"-ს კორესპონდენტს.

35 წლის რიისი წლეულს „შვეიცარიის ტურში" დაეცა და მკლავი მოიტეხა. ამის გამო მას „ტურ დე ფრანსისა" და „მუნდიალის" გამოტოვება მოუხდა და ჩვეული ფორმა ჯერაც ვერ აღუდგენია. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას მისი დატოვება-არდატოვების თაობაზე „ტელეკომი" ამ თვის მიწურულს მიიღებს. არადა, გერმანული გუნდის ოფიციალურ სერვერში უკვე არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაისად ამ გუნდს ბიარნ რიისი, იტალიელი ფრანჩესკო ფრატინი და გერმანელი კრისტიან ჰენი დატოვებენ.

## ცურვა

# წყალში ცურვა ალკოჰოლში ბანაობით დასრულებულა

## სუზი მერონის მისტიური ავადმყოფობა

**ტრანსკუნძულური** გაღაცურვებით სახელმოხვეჭილი ავსტრალიელი მოცურავის სუზი მერონის სიდნეის ჰოსპიტალში მოხვედრის შესახებ კი ვიუწყებოდით, მაგრამ უცხოური საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ეს ცნობა ტყუილი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ სიდნეის დახურულ აუზში ავსტრალიის მაშველთა სამეფო საზოგადოების მოწყობილი საქველმოქმედო ღონისძიებისას სუზი მერონიმ 675 „წრე" გაცურა, რისთვისაც 8 საათით ფხის გამოჩენა დასჭირდა. ეს აქცია ბავშვთა შორის ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად თანხების მოზიდვას ითვალისწინებდა.

მერე მერონი თითქოს ასთმის შეტევის გამო ჰოსპიტალში გააქანეს. არადა, ეს ინფორმაცია დაუჯერებლად გვეჩვენა, რადგან შეუძლებელია ასთმით დაავადებულმა მთელი კარიბეთი გადაცურ-გადმოცუროს, მით უმეტეს, რომ მერონს 1991 წელს ცივი ლა მანშიც წინ და უკან ანუ ბრიტანეთიდან საფრანგეთამდე და პირიქით გადაულახ-გადმოულახავს, თანაც საფრანგეთიდან ბრიტანეთამდე მარშრუტი საუკეთესო დროში დაუფარავს, საერთოდ კი ამისთვის 17 საათი და 13 წუთი მოუნდომებია. ჰოდა, მერონის ჰოსპიტალიზების შესახებ ცნობა ტყუილი აღმოჩნდა.

ასთმის ამბავი მისი ოჯახის წევრებს შეუთხზავთ. სიცრუე დაუდასტურებია მოცურავის აგენტ მარკსონისაც, რომელმაც ამ ვერსიას მერე მისტიური ავადმყოფობას უწოდა.

უცხოური საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ მარათონელი მოცურავე სიდნეის პოლიციამ საჭესთან კაი გვარიანად ნასვამი დააკავა. თურმე, 8-საათიანი საქველმოქმედო აქცია სუზის აღუნიშნავს ადგილობრივ ღამის კლუბში, სადაც უგონოდ დამთვრალა, მერე კი მანქანის ტარების მცდელობის გამო დაუკავებიათ კიდეც.

**გიგა გურასაშვილი**

## ჰოკეი

# ხმლების ლიდერები, მტრები და...

3 ნოემბერი

**დალასი — ბუფალო 1:3**

1:1 0:1 0:1

1:0 კინი 6'5 (2); 1:1 გრომშეკი 15'31 (4); 1:2 ვული 27'32 (1); 1:3 უორდი 47'04 (1)

ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ — ყოველი მატჩი ადასტურებს, რომ წლეულს ბუფალო უჰაშეკოდ უკეთ გრძნობს თავს. თასის ფინალის შემდეგ გამართულ პირველ შეხვედრაში (წარმოუდგენელია, მაგრამ აქამდე პლეი ოფის ფინალისტები თავიანთ დივიზიონებში ბოლო (!) ადგილებზე იმყოფებოდნენ) „ხმლებმა", ალბათ, ამ სეზონში პირველად დატოვეს ორგანიზებული და დალაგებული გუნდის შთაბეჭდილება. მასპინძლები მხოლოდ პირველ წუთებში, მაიკ კინის გოლამდე გამოიყურებოდნენ უკეთ, მერე კი ახალბედა მეკარე მეტიუ ბაირონის საიმედო თამაშმა სტუმრები დაამშვიდა და მატჩი მათი უპირატესობით წარიმართა. როგორც იქნა, გამოირჩნენ „ხმლების" შარშანდელი ლიდერები — წამყვანი მცველი ჯეისონ ვული, ფორვარდი დიქსონ უორდი და კაპიტანი მაიკ პეკა (2 პასი). ასე რომ, უჰაშეკო ბოფალომ რევანში აიღო თასის ფინალში დამარცხებისთვის, თუმცა გუნდის მწვრთნელ ლინდი რაფის სავალალო სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება უფრო აფიქრებს. რაც შეეხება დალასს, იგი უკვე ზედიზედ მესამედ აგებს, რაც წელიწადნახევარია, არ დამართვნია, ხოლო ბოლო 8 მატჩში 2 გოლზე მეტი ვერ გააქვს.

**კალგარი — ნეშვილი 5:4**

0:0 1:3 3:1 1:0

0:1 რონინგი 26'13 (4); 0:2 ფიცჯერალდი 26'46 (3); 1:2 შანცი 27'19 (3); 1:3 რონინგი 31'18 (5); 2:3 უილმი 41'19 (3); 2:4 რობიტაილი 54'23 (2); 3:4 ჰაუსლი 58'44 (2); 4:4 ჰაუსლი 59'23 (3); 5:4 ალბელინი 64'56 (2)

მართალია, ამ უხვგოლიან მატჩში კალგარელმა ვალერი ბურემ (2 პასი) სნაიპერთა შორის დაწინაურების შანსი ვერ გამოიყენა, მაგრამ, სამაგიეროდ, სწორედ მისი გადაცემის შემდეგ გადაიყვანა თამაში ოვერტაიმში მცველმა ფილ ჰაუსლიმ. იქ კი მასპინძლებმა კვლავაც იყოჩაღეს (+4=2-0 დამატებით დროში).

**ვაშინგტონი — ოტავა 3:1**

0:0 2:1 1:0

1:0 ბონდრა 24'40 (9); 1:1 ტრავერსი 25'47 (1); 2:1 მეტროპოლიტი 27'22 (1); 3:1 მეტროპოლიტი 41'24 (2)

ამ დღეებში თავის პოსტზე დაბრუნებულმა ჯორჯ მაკფიმ (ვაშინგტონის გენერალურმა მენეჯერმა საგამოფენო მატჩში ჩიკაგოელთა მწვრთნელ ლორნი მოლეკენს შეურაცხყოფა მიაყენა და ერთი თვით დისკვალიფიცირებული იყო) შემადგენლობა გადაახალისა, რამაც უმალ გამოიღო ნაყოფი. ფარმკლუბიდან გამოძახებული რამდენიმე ჰოკეისტისგან ყველაზე მეტად გლენ მეტროპოლიტი გამოირჩა, რომელმაც სამივე გოლში დაიდო წილი. ამ ფორვარდმა ჩხუბისთვის გაძევებული კრის საიმონის ადგილი დაიკავა პირველ სამეულში და მხარიც აუბა გუნდის ლიდერებს — ადამ ოუთსსა (2 პასი) და პეტერ ბონდრას (1+1).

REUTERS დალასიდან



დალასი — ბუფალო. ბუფალოელები საერთო ძალისხმევით ჯემი ლანგენბრუნერის შეჩერებას ლამობენ

**რეინჯერსი — აილენდერსი 3:3**

1:1 1:1 1:1 0:0

0:1 ლინდგრენი 8'06 (3); 1:1 იორკი 19'04 (3); 2:1 ლიჩი 24'08 (2); 2:2 ჩერკავსკი 29'00 (5); 3:2 ნედვედი 42'30 (3); 3:3 ჩარა 56'31 (1)

ძველი მტრები უკმაყოფილონი დარჩნენ საბოლოო შედეგით, თუმცა „უმცროსმა ძმამ", აილენდერსმა მეზობელთან შვიდი მარცხის შემდეგ ქულა მაინც აიღო, სამაგიეროდ, მასპინძლები უკვე მეექვსე მატჩია, ვერ იგებენ. მათმა წამყვანმა მცველმა ბრიან ლიჩმა 179-ე გოლი გაიტანა ლიგაში და კლუბის საუკეთესო სნაიპერ-მცველი გახდა.

**ედმონტონი — ფლორიდა 2:2**

2:1 0:0 0:1 0:0

0:1 ბურე 2'18 (6); 1:1 მიურეი 26'47 (2); 2:1 მიურეი 11'33 (3); 2:2 უიტნი 40'42 (6)

ედმონტონელი ბილ გერინი (1 პასი) გაფიცვის დასრულებისთანავე შეუდგა საქმეს — 1 პასი.

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 აიზერმანი 14'59 (3); 1:1 პალფი 39'54 (6)

ლიგის ყველაზე შედეგიანმა გუნდმა, ლოს ანჯელესმა დეტროიტთან შეტევაში გაჯიბრება ვერ გაბედა და მიუხედავად იმისა, რომ სულ 1 გოლი გაიტანა, ქულას მაინც გამოჰკრა ხელი.

**ნიუ ჯერსი — მონრეალი 3:2**

0:1 1:1 2:0

0:1 ლინდენი 10'10 (1); 0:2 პულინი 27'40 (3); 1:2 პედერსონი 29'21 (1); 2:2 სიკორა 44'32 (3); 3:2 სტივენსი 52'27 (2)

მონრეალმა კვლავ წააგო და მას ტრევორ ლინდენის კარგა ხნის ნანატრმა გოლმაც ვერ უშველა. კანადური კლუბის ტრავმირებულთ უილბლო საკუ კოივუ შეემატა. იგი ალბათ ერთ თვეს დაისვენებს.

**ატლანტა — ტამპა 4:1**

3:1 1:0 0:0

0:1 ლეკავალიე 5'38 (5); 1:1 ბრიუნეტი 7'00 (7); 2:1 ფერარო 12'27 (2); 3:1 სვარტვადეტი 19'55 (2); 4:1 დინი 39'18 (1)

**კაროლინა — ტორონტო 0:6**

0:2 0:2 0:2

0:1 ჯონსონი 6'51 (6); 0:2 ჯონსონი 7'13 (7); 0:3 სუნდინი 29'00 (4); 0:4 ჰოგლუნდი 39'5, (7); 0:5 კაბერლე 51'43 (4); 0:6 ჰოგლუნდი 54'03 (8)

ტორონტოელთა ლიდერის, მატს სუნდინის (1+1) მოულოდნელმა დაბრუნებამ ტრავმის შემდეგ მისი პარტნიორები ერთობ გაამხნევა. მათ ჩინებული თამაშით გაახარეს კაპიტანი, რომელმაც ნჰლ-ში მე-300 გოლი გაიტანა. სუნდინის დაბრუნებამ ყველაზე მეტად მისი მუდმივი პარტნიორი იონას ჰოგლუნდი (2+1) აღაფრთოვანა. კაროლინა კი თავის ახალთახალ არენაზე მეორედ დამარცხდა.

**კოლორადო — სენტ ლუისი 5:0**

1:0 3:0 1:0

1:0 ჰეიდუკი 3'21 (9); 2:0 საკიკი 26'15 (5); 3:0 დრური 34'46 (2); 4:0 ჰეიდუკი 36'16 (10); 5:0 მესიე 52'31 (1)

ამგვარი ანგარიში კოლორადოელი ახალგაზრდების ჩინებულმა თამაშმა განაპირობა. ახალბედა ალექს ტანგეის (2 პასი) და ნჰლ-ში თავის მეორე სეზონში უკვე „ეველანშის" ლიდერად ქცეულ მილან ჰეიდუკის (2+1) შემართებას კიდევ ერთი დებიუტანტის — მეკარე მარკ დენისის (37 მოგერიება) ძალისხმევაც დაემატა. თუმც სენტ ლუისისთვის კოლორადო ბოლო ხანს (+0=1-5) ისედაც ძალიან მოუხერხებელ მეტოქედ იქცა.

**სან ხოსე — ფინიქსი 6:3**

2:2 3:1 1:0

0:1 გრინი 13'24 (10); 1:1 ნოლანი 14'32 (10); 1:2 ალატალო 18'36 (2); 2:2 დამფუსი 18'59 (4); 3:2 დამფუსი 31'47 (5); 4:2 მარლო 34'42 (5); 5:2 სტერნი 35'55 (1); 5:3 ტოკეტი 39'36 (2); 6:3 ფრიზენი 58'36 (8)

სტარტის ორი მოულოდნელი გამორჩეულის დაპირისპირების შედეგი მეკარეთა თამაშმა განაპირობა. ასეა, ჩინებულად ჩატარებულ ერთ თვეს უხეირო სერია ენაცვლება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ფინიქსელი მიხაილ შტალენკოვი, ოქტომბრის ყოჩი, ამჯერად არ იყო მოწოდების სიმაღლეზე. სამაგიეროდ, ძალიან იყოჩაღა სანხოსელმა სტივ შილდსმა (37 მოგერიება). აღსანიშნავია ასევე სან ხოსეს წამყვანი სამეულის — ნოლანი (1+3) — დამფუსი (2+1) — ფრიზენი (1+2) — გამორჩევა.

**ანაჰაიმი — ფილადელფია 3:3**

0:0 3:3 0:0 0:0

0:1 კლერი 21'13 (6); 1:1 კარია 22'15 (6); 2:1 ოლაუსონი 33'41 (3); 3:1 სელიანე 34'45 (7); 3:2 დეჟარდენი 37'14 (7); 3:3 ლეკლერი 39'55 (7)

გუნდების ვარსკვლავთა დუელი მეორე პერიოდში უხვგოლიან, მშვენიერ სანახაობაში გადაიზარდა. საუკეთესო მაინც გამოჯანმრთელებული ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი იყო, რომელმაც სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა.

**სამველ ლარიბიანი**

# იშრომე, ოღონდ იღბალიც ინატრე

## ებრაულმა საკალათბურთო რეფორმებმა რევაზ ჩხეიძე საქართველოში გამოისტუმრა

*რევაზ ჩხეიძის ნიჭი და უნარი ყრმობიდანვე აღიარეს კალათბურთის სპეციალისტებმა. როგორი ამბავია, ჯერაც ბავშვი იყო „ჩხირო“ და უკვე ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მიიწვიეს. გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, ჩხეიძე კი პირველ ნაბიჯებს დგამდა მაღალი მიზნებისკენ სავალ გზაზე...*

*მერე დრო აირია, ქართული კალათბურთი საკუთარ ნაჭუჭში შეიყუჟა და სწორედ ჩხეიძეს და მის თაობას მიენდო. „ჩხირო“ საქართველოს ნაკრების შეუცვლელი წევრი ხდება. ბესო ლიპარტელიანის, მოგვიანებით კი ლევან მოსეშვილის გუნდში მას თითქმის განაღდებული აქვს ადგილი. ეროვნული ნაკრების უკანა ხაზი ახლა უკვე წარმოუდგენელია რევაზ ჩხეიძის გარეშე...*

*„დინამო“, „კაქტუსი“, „ვითა“ — ეს ის კლუბებია, სადაც ჩხეიძეს საქართველოში ყოფნისას უთამაშია. ამ ორიოდ წლის წინ კი ჩხირომ ისრაელს მიაშურა და იქაურ მეორე ლიგის გუნდში, ცვატის „ჰაპოელში“ მოეწყო. დღემდე სწორედ აღთქმულ მიწაზე აგრძელებდა ჩხეიძე საკალათბურთო კარიერას. სულ ახლახან კი მოულოდნელად მშობლიურ თბილისში ჩამოვიდა და... ისრაელიდან საბოლოოდ წამოვედი, რამდენიმე სხვა ვარიანტიც მაქვს და უახლოეს მომავალში სასურველ კლუბს კონტრაქტსაც გავუფორმებო — განაცხადა.*

*არადა, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, აქამდე ჩხიროც კმაყოფილი იყო ისრაელით. მაშ, რა მოხდა? რატომ წამოვიდა ქართველი იქიდან?*

*ამ კითხვით თავად ჩხეიძეს მივმართეთ, მერე ლაპარაკს შევყევით და ინტერვიუც შედგა:*



რევაზ ჩხეიძე

— ისრაელიდან წამოსვლა აუცილებლად ჩავთვალე. მეორე ლიგას ყურადღება საერთოდ აღარ ექცეოდა. თითქმის ყველა ნორმალური მოთამაშე სხვაგან წავიდა, პანტაპუნტით იშლებოდა გუნდებიც. ჩემპიონატი თოთხმეტმა კლუბმა დაიწყო და ჩემს წამოსვლამდე ეს რიცხვი რვამდე შემცირდა. იქ გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

**— მაინც რა მოხდა ასეთი, გული ხომ არ აიყარეს ებრაელებმა კალათბურთზე?**

— ყოველივე იმან გამოიწვია, რომ მომავალი წლიდან ბოსმანის წესი უქმდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდს შეუძლია ერთდროულად ჰყავდეს ორი ამერიკელი, სამი ესპანელი, ოთხი იტალიელი და ასე შემდეგ. არ აგერიოთ, ამის უფლება მხოლოდ პირველი ლიგის კლუბებს ექნებათ, მეორე ლიგაში კი საერთოდ აიკრძალება უცხოელის თამაში.

**— ჩვენ ვიფიქრეთ, ჩხეიძეს ებრაელებმა ფინანსური პრობლემები შეუქმნესო...**

— რასაც დამპირდნენ, მისრულებდნენ. ამ მხრივ არაფერი მაქვს სასაყვედურო. უბრალოდ, სხვა არჩევანი არ მქონდა, ან უნდა წამოვსულიყავი, ან კიდევ...

**— პირველი ლიგის გუნდში გადასვლა შეუძლებელი იყო?**

— ახლა გახურებული სეზონია, კლუბებს უკვე ამოწურული აქვთ უცხოელის ლიმიტი, სწორედ ეს მაფერხებდა. მომავალი წლიდან კი, ხომ გითხარით, სხვანაირად იქნება.

**— მოსამზადებელი ეტაპი თქვენ სხვა გუნდში გაიარეთ, სეზონს კი მაინც „ჰაპოელში“ შეხვდით...**

— აქედან ნათანიაში ჩავედი, ჩემპიონატისთვის სწორედ ამ ქალაქის კლუბთან ერთად ვემზადებოდი. საკმაოდ ძლიერი გუნდი შეკრეს ნათანიელებმა, მიზნებიც სერიოზული დაისახეს, მაგრამ მერე ფინანსურად გაუჭირდათ და კლუბის შენარჩუნება ველარ შეძლეს. მე ისევ ჩემს ძველ გუნდს, „ჰაპოელს“ მივაკითხე და უპრობლემოდ ჩავირიცხე.

**— ცვატელებს, ალბათ, კონტრაქტიც გაუფორმეთ. თუ ასეა, ეგრე იოლად როგორ შეგელივნენ, არ შეეძლოთ თქვენი წლის ბოლომდე შენარჩუნება?**

— მეორე ლიგაში ისეთი წესია, რომ ხუთი თამაშის შემდეგ კალათბურთელს შეუძლია, ერთი კლუბიდან მეორეში გადავიდეს. ადგილობრივებზეა საუბარი, თორემ მე, როგორც უცხოელს, ესეც მეკრძალებოდა. სიმართლე გითხრათ, სურვილიც არ მქონია. ებრაელები იმ შემთხვევაში ვერ შემაფერხებდნენ, თუ საერთოდ წამოვიდოდი იქიდან. ჩემს კონტრაქტში ეს მუხლიც იყო ჩადებული, რითაც ვისარგებლე კიდეც.

**— ცვატში თითქმის ორი წელი დაჰყავით. რა სიძლიერის გუნდი იყო „ჰაპოელი“ და საერთოდ, რა დონისაა იქაური მეორე ლიგა?**

— საერთო დონე გაცილებით აღემატება საქართველოს უმაღლესი ლიგისას. დავიწყოთ იმით, რომ ებრაელთა მეორე ლიგაში ოთხი-ხუთი ნბაში ნათამაშევი კალათბურთელი გამოდიოდა. იყვნენ ამერიკულ კოლეჯებში გამოწრთობილი მოთამაშეებიც. ისრაელის ახალგაზრდული ნაკრებიდანაც ხუთი ასპარეზობდა ჩემს ლიგაში. აღარაფერს ვამბობ ევროპელებზე, რომლებიც თითო-ოროლა ყველა გუნდს ჰყავდა.

ჩემი გუნდი, „ჰაპოელი“, ლიდერთა შორის არასდროს ყოფილა. ყოველთვის ცხრილის შუაგულში ვტრიალებდით. ერთი სიტყვით, მეორე ლიგის საშუალო კლუბი იყო.

**— იქაური და აქაური პირობები რომ შევადაროთ...**

— ეს შეუძლებელია. ვერ აგიღწერთ, როგორ ყურადღებას აქცევენ ისრაელში კალათბურთს. საქართველოში იმის ნახევარი პირობებიც რომ იყოს, გაცილებით უკეთესი შედეგები გვექნებოდა. აქ მოთამაშეს არანაირი სტიმული არა აქვს, ამის გამო ძალიან ბევრმა ნიჭიერმა კალათბურთელმა უსახელოდ დაამთარა კარიერა — კალათბურთით ცხოვრებაში გზა ვერ გაიკვლია და გაცლა ამჯობინა. თქვენ რა გგონიათ, ნაკრების წარუმატებლობა რისი ბრალია? რისი და სწორედ უსახსრობის, სანამ მდგომარეობა არ გამოსწორდება, ასეც გაგრძელდება. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

**— ნაკრების წევრი ხართ და ვის უნდა ვკითხო, თუ არა თქვენ. ერთხელ თუ მაინც წაუხალისებიხართ ფინანსურად ეროვნულ გუნდში თამაშისას?**

— ეს მეათეხარისხოვანია. ეროვნულ ნაკრებში თამაში ნებისმიერ პრემიაზე მეტს ნიშნავს, მაგრამ მარტო იმით, რომ ქართველი ხარ, დღეს შედეგს ვერ მიაღწევ. წახალისება, რა თქმა უნდა, კარგი რამეა, მაგრამ ეს მატჩის ბედს ვერ განსაზღვრავს. ერთიცაა, პრემიების დარიგებას აზრი მაშინ აქვს, როცა გუნდი სხვა მხრივ ყველანაირად მომზადებულია. როცა კალათბურთელები ფიზიკურად სათანადო დონეზე ვერ არიან და ნაკრებს საერთო ტაქტიკური მონახაზი არა აქვს, რა წახალისებაზეა საუბარი? რამდენიც უნდა მოგცენ, ისეთ გუნდს ვერ მოუგებ, რომელიც შენზე ათჯერ უკეთესადაა მომზადებული. წარუმატებლობის მიზეზი უფრო სხვაგანაა საძებნი. აჯობებს, იქიდან დავიწყოთ, რომ კალათბურთელს გაყინულ დარბაზში უხდება ვარჯიში...

**— ეს საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, მგონი, ნაწილობრივ თემასაც გადავუხვიეთ. თქვენთვისაც და გულშემატკივარისთვისაც ამწუთს უფრო მნიშვნელოვანი თქვენი შემდგომი კარიერაა. ალბათ, ამ საკითხზე უკვე სერიოზულად ფიქრობთ.**

— წინასწარ ლაპარაკი არ მსურს, იმას კი გეტყვით, რომ ჩემმა მენეჯერმა რამდენიმე ვარიანტი შემომთავაზა და ყველაფერი მალე გაირკვევა.

**— თუ არ ვცდები, ეს კაცი ებრაელია.**

— ასეა, ჩემს ტრანსფერზე სწორედ იქაური აგენტი იოსი გალპასი მუშაობს. იგი მაკავშირებს სხვადასხვა გუნდებთან და როგორც კი სასურველი კლუბი გამოჩნდება, კონტრაქტსაც გავაფორმებ.

**— ამბობენ, ყველაზე რეალური წინადადება ჩხეიძემ რუმინეთიდან მიიღოო...**

— რუმინული გუნდი მართლაც მეპატიჟება. ძალიან დაინტერესებულან ჩემი თამაშით, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. არ ვიცი, ვინ გითხრათ თქვენ ამის შესახებ, ის კი ვიცი, რომ რუმინელთა გარდა სხვა წინადადებებიც საკმაოდ რეალურია.

**— დაბოლოს. უკვე კარგა ხანია, კალათბურთს თამაშობთ და უეჭველია, ამ ხნის მანძილზე დიდი ცოდნა და გამოცდილება დაგიგროვდებოდათ. თქვენი აზრით, რა გზით უნდა მიაღწიოს სპორტსმენმა მაღალ მიზნებს, რა უნდა აკეთოს საიმისოდ, რომ კარიერა თავის გემოზე მოიწყოს?**

— პირველ ყოვლისა, მუხლჩაუხრელად უნდა იშრომოს, ივარჯიშოს. მუდამ უნდა იყოს ფორმაში, მზად უნდა იყოს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად და მორალურად. გარდა ამისა, უნდა ჰყავდეს კარგი მენეჯერი და აუცილებლად ჰქონდეს იღბალი. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ის გზა, რომელიც სპორტსმენს ძლიერ კლუბში მიიყვანს.

**გიორგი ბიკაშვილი**

---

## სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

eur stars

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრანგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიუურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფთიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაჟ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| ______ | ______ |
| ______ | ______ |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 5 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

**თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,**

ან საფოსტო მისამართზე:

**თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208**

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

______

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 4 ნოემბერი

**A ჯგუფი**

პაოკ 82:53 ცრვენა ზვეზდა

**B ჯგუფი**

პანათინაიკოსი 86:82 ჟალგირისი
ძირითადი დრო 76:76
ალბა 81:55 თოფაში
რეალი 76:74 ოლიმპია

**C ჯგუფი**

ვილერბანი 60:59 ულქერი
მაკაბი 54:65 ოლიმპიაკოსი

**D ჯგუფი**

ეფესი 73:57 კახა სან ფერნანდო
ციბონა 71:61 ფორტიტუდო

REUTERS ზაგრებიდან



ციბონა — ფორტიტუდო 71:61. ვლადიმირ კრსტიჩმა (№5) და იოსიპ სესარმა (მარცხნივ) ფორტიტუდოელი ჯაკომო გალანდა უბურთოდ დატოვეს

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 2-3-4 ნოემბერი

**A ჯგუფი**

ანტიბი (საფრანგეთი) — ვაკალო (შვეიცარია) 65:70, ხირონა (ესპანეთი) — გენტი (ბელგია) 91:65

*სატურნირო მდგომარეობა: ხირონა 8 ქულა, ვაკალო 7, ანტიბი 5, გენტი 4*

**B ჯგუფი**

ლოკა კავა (სლოვენია) — გალათასარაი (თურქეთი) 56:91, იმოლა (იტალია) — ზრინიევაცი (ხორვატია) 68:61

*სატურნირო მდგომარეობა: გალათასარაი 8 ქულა, იმოლა 7, ზრინიევაცი 5, ლოკა კავა 4*

**C ჯგუფი**

ნიკოლ ფერტი (მაკედონია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 92:86

*სატურნირო მდგომარეობა: მაკაბი 5 ქულა, ნიკოლ ფერტი 4, რეჯანა (იტალია) 3*

**D ჯგუფი**

პეზსი (იტალია) — უნიკახა (ესპანეთი) 71:62, მონსი (ბელგია) — ბაიერი (გერმანია) 93:86

*სატურნირო მდგომარეობა: მონსი 7 ქულა, უნიკახა 6, პეზსი 6, ბაიერი 5*

**E ჯგუფი**

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — აეროპორტი (იტალია) 66:79, ინტერი (სლოვაკეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) 74:76

*სატურნირო მდგომარეობა: აეროპორტი 8 ქულა, ჰაპოელი 6, ბეშიქთაში 6, ინტერი 4*

**F ჯგუფი**

ალიტა (ლიტვა) — ლოკომოტივი (რუსეთი) 90:74, ბკ კიევი (უკრაინა) — პილოსეტი (ფინეთი) 100:87

*სატურნირო მდგომარეობა: ალიტა 8 ქულა (5 მატჩიდან), ბკ კიევი 7 (5 მატჩიდან), ლოკომოტივი 6, პილოსეტი 6*

**G ჯგუფი**

სპარტა (ჩეხეთი) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) 68:71, ზაგრები (ხორვატია) — მარუსი (საბერძნეთი) 73:69

*სატურნირო მდგომარეობა: მარუსი 7 ქულა, მაკაბი 7, ზაგრები 6, სპარტა 4*

**H ჯგუფი**

ნეპტუნასი (ლიტვა) — ბორასი (შვედეთი) 77:83, კოუვოტი (ფინეთი) — პოგონი (პოლონეთი) 65:71

*სატურნირო მდგომარეობა: ბორასი 8 ქულა, პოგონი 7, ნეპტუნასი 5, კოუვოტი 4*

**I ჯგუფი**

ანტვერპენი (ბელგია) — ფუენლაბრადა (ესპანეთი) 74:63, ლიმოჟი (საფრანგეთი) — ოვარენშე (პორტუგალია) 93:84

*სატურნირო მდგომარეობა: ლიმოჟი 8 ქულა, ანტვერპენი 6, ფუენლაბრადა 6, ოვარენშე 4*

**J ჯგუფი**

შიაულიაი (ლიტვა) — გროდნო (ბელარუსი) 78:56, უნიკსი (რუსეთი) — ბიტომი (პოლონეთი) 71:66

*სატურნირო მდგომარეობა: უნიკსი 7 ქულა, შიაულიაი 7, ბიტომი 5, გროდნო 5*

**K ჯგუფი**

ირბ (ისლანდია) — ლუგანო (შვეიცარია) 72:78, პუიმა (ფინეთი) — ნანსი (საფრანგეთი) 63:72

*სატურნირო მდგომარეობა: ნანსი 8 ქულა, ლუგანო 7, ირბ 5, პუიმა 4*

**L ჯგუფი**

ცსკა (უკრაინა) — ურალ გრეიტი (რუსეთი) 85:93, ნობილესი (პოლონეთი) — სემა (ლიტვა) 85:54

*სატურნირო მდგომარეობა: ურალ გრეიტი 9 ქულა (5 მატჩიდან), ნობილესი 7, ცსკა 6, სემა 5 (5 მატჩიდან)*

**M ჯგუფი**

ნიარ ისტი (საბერძნეთი) — ქარშიაქა (თურქეთი) 79:70

*სატურნირო მდგომარეობა: ნიარ ისტი 5 ქულა, ქარშიაქა 5, სლოვანი (სლოვენია) 2*

**N ჯგუფი**

ტელეკომი (თურქეთი) — ციტლიუკი (ბოსნია) 100:76, ტრირი (გერმანია) — პერისტერი (საბერძნეთი) 73:91

*სატურნირო მდგომარეობა: ტელეკომი 7 ქულა, პერისტერი 7, ციტლიუკი 6, ტრირი 4*

**O ჯგუფი**

ლევსკი (ბულგარეთი) — არისი (საბერძნეთი) 74:77

*სატურნირო მდგომარეობა: არისი 6 ქულა, აპოლონი (კვიპროსი) 3, ლევსკი 3*

**P ჯგუფი**

ოსტენდე (ბელგია) — ლე მანი (საფრანგეთი) 61:58, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — მადეირა (პორტუგალია) 93:82

*სატურნირო მდგომარეობა: ესტუდიანტესი 8 ქულა, ოსტენდე 6, მადეირა 5, ლე მანი 5*

*მეხუთე ტური გაიმართება 10 ნოემბერს*

რეგულარული ჩემპიონატი

# ახალი პორტლენდელები

3 ნოემბერი

**პორტლენდი 121:98 კლიპერსი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (23), პიპენი (22), სმიტი (22)
კლიპერსი: ოდომი (23), ტეილორი (22)

**ლეიკერსი 103:88 ვანკუვერი**
ლეიკერსი: ონილი (28 ქულა, 10 მოხსნა), რაისი (17)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 11 მოხსნა), დიკერსონი (19)

**ბოსტონი 112:101 ვაშინგტონი**
ბოსტონი: პოტაპენკო (20), ანდერსონი (19 ქულა, 10 პასი)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (20)

**კლივლენდი 97:90 ნიუ ჯერსი**
კლივლენდი: კემპი (27 ქულა, 15 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: მარბერი (27), ვან ჰორნი

**ჩიკაგო 74:84 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: სიმპკინსი (17)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23), სპრიუელი (19)

**ორლანდო 103:94 დეტროიტი**
ორლანდო: გარიტი (20), არმსტრონგი (17)
დეტროიტი: ჰილი (30), ლეიტნერი (18)

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ახალ სეზონს ერთ-ერთი ლიდერის კობი ბრაიანტის გარეშე იწყებს. 20 წლის კობის წინასასეზონო საგამოფენო თამაშისას ხელი მოუტეხია და თითქმის მთელი ნოემბრის გაცდენა მოუწევს. ბრაიანტი იმედოვნებს, რომ 24 ნოემბრისთვის მაინც გამოჯანმრთელდება საბოლოოდ. ეს არის დღე, როცა „ლეიკერსი" „იუტა ჯაზს" ხვდება და ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი. თან „ლეიკერსმა" „ვანკუვერთან" თამაშამდე სწორედ სოლტ ლეიკ სიტიში „ჯაზის" დამარცხებით გახსნა თავის გამარჯვებათა ნუსხა ამ სეზონში.

მართალია, „ლეიკერსმა" ორივე ამ თამაშში მოისაკლისა ბრაიანტი, მაგრამ ეს გუნდს არ დასტყობია, პირიქით, ლოსანჯელესელებს რამდენიმე მოტივი ჰქონდათ, აღმაფრენით ეთამაშათ. გუნდში მივიდა ფილ ჯექსონი, 90-იანი წლების ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, „ჩიკაგო ბულზის" ექვსი ჩემპიონობის ფრთაშესხმელი და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიან გუნდში კვლავ გაჩნდა ჩემპიონობის იმედები. ახალ მწვრთნელთან ერთად ლეიკერსს დარბაზიც ახალი აქვს — 19 ათას ადგილიანი „სტეპლზს სენთერი", რომლის შენებაც არც მეტი, არც ნაკლები, 375 მილიონი დაჯდა და მასში „ლეიკერსი", რომელიც 1976 წლიდან „გრეით ვესტერნ ფორუმის" ერთგული იყო, სულ ერთი თვის წინ გადაბარგდა და პირველი ოფიციალური მატჩი სწორედ „ვანკუვერთან" ჩაატარა.

„მშვენიერი დარბაზია, ვეება და ნათელი. აქ თამაში ერთი სიამოვნებაა" — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელთა ლიდერმა შაკილ ონილმა, რომელმაც სტუმარ გუნდს ახალ დარბაზში 28 ქულა შეაგება და აშკარად დაჩაგრა მეტოქის ცენტრი და თავისი მეურვე ბრაიან რივზი. ასე რომ, „ლეიკერსს" არ გასჭირვებია მეტოქის დამაჯერებლად დამარცხება, მიუხ[illegible]ად იმისა, რომ „ვანკუვერი" პირველ [illegible]იმში მაგრად იდგა და ნახევარი მხოლოდ ერთი ქულით დათმო.

„ლეიკერსის" დარად, წყნარი ოკეანის დივიზიონის მეორე გიგანტ „პორტლენდსაც" უკვე ორი გამარჯვება აქვს აქტივში. სხვანაირად არც შეიძლება. ჯერ „ვანკუვერი" მერე „კლიპერსი" ის გუნდები არ არიან, რაიმე შეჰკადრონ „თრეილ ბლეიზერსს", ჩემპიონობის კიდევ ერთ კანდიდატს. „კლიპერსმა" შინ „სიეტლს" ვერ მოუგო და პორტლენდში რაღას გახდებოდა.

„ბლეიზერსის" გამოცდილმა ახალწვეულმა სკოტი პიპენმა პირველივე საშინაო მატჩში დაანახვა პორტლენდურ აუდიტორიას, რა ბიჭია და რისი შნო აქვს. იგი შეტევაში და დაცვაში სანაქებოდ ირჯებოდა და 22 ქულით ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავისიანებში. მასპინძელთა მომთხოვნი გულშემატკივართა ოციათას ხუთასკაციანი არმია უცილობლად კმაყოფილი დარჩა მისი თამაშით ისევე, როგორც კიდევ ერთი ახალი პორტლენდელით, სტივ სმიტით, რომელმაც ასევე 22 ქულას მოუყარა თავი. ყველაზე შედეგიანი კი მაინც ძველი დეიმონ სტუდემაიერი იყო. კარგად გაისარჯა ბებერი ლიტველი არვიდას საბონისიც, რომლის ანგარიშზეც 16 ქულასთან ერთად 13 მოხსნა და ხუთი დაფარებაცაა. მან პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე ცენტრი მაიკლ ოლოვოკანდი, ვისზეც შარშან გუნდის ხელმძღვანელობა უდიდეს იმედებს ამყარებდა, მაგრამ ამ 216-სანტიმეტრიანმა ახმახმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და ახლაც ჭკვიან არვიდასთან ბრძოლაში მხოლოდ 8 ქულას და ერთადერთ მოხსნას გამოჰკრა ხელი. 25 წუთში ექვსი ჯარიმაც მიიღო და თამაშიდან გავარდა. ამან მისი გუნდის შანსები კიდევ უფრო დააქვეითა. „კლიპერსმა" სულაც 29:41 წააგო მოხსნებში.

უსუსურ „კლიპერსში" კი კვლავ საუკეთესო იყო ახალბედა ლამარ ოდომი. მას პიპენი მეურვეობდა და სტუმარმაც ამის გამო თამაშიდან 17 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩააგდო, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა ახალბედამ ბლომად პერსონალურები ჩამოურიგა მასპინძლებს, თვითონ კი 14 საჯარიმო სროლიდან 12 ჩაუშვა კალათში.

თუ ლამარ ოდომი ბომბარდირულ თვისებებს ავლენს და ყველანაირად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ძალიან მაგარია, მასავით ახალბედა და პერსპექტიული კალათბურთელად შერაცხული, წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი ელტონ ბრენდი ერთობ მოკრძალებულ შედეგებს აჩვენებს. ბრენდის „ჩიკაგო ბულზმა" შინ ვერაფერი მოუხერხა წინა სეზონის ფინალისტ „ნიუ იორკ ნიქსს" და პირველივე მატჩში მარცხი იწვნია. თვითონ ბრენდმა 14 ქულა გაუხერხა ახალ გუნდს, რომელშიც მას მომავალ ლიდერად ალიქვამენ. ახლანდელი ლიდერის, ხორვატი ტონი კუკოჩის თამაშზე კი რაღა ითქმის, გამოცდილ ხორვატს თვითონვე უკვირდა, როგორი ადგილებიდან აცილებდა. საბოლოოდ მან თოთხმეტი სროლიდან ერთადერთი ჩააგდო და მეტოქე გუნდს სულ ცხრა ქულას გამორჩა. ამის ნახევარიც ვერ შეძლო კიდევ ერთმა გამოცდილმა მოთამაშემ, „სიეტლიდან" ახლახან გადასულმა ჰერსი ჰოკინსმა. მის ანგარიშზე სულ ოთხი ქულაა. ამ ორის და ბრენდის გარდა „ჩიკაგოს" დამრიგებელ ტიმ ფლოიდის ხელში სხვა ხეირიანი არავინაა, მაგრამ მასპინძლები ასე თუ ისე მაინც ახერხებდნენ წინააღმდეგობის გაწევას, პირველი ნახევარი მძლავრ მეტოქესთან ორი ქულით დათმეს, მაგრამ ამისათვის ისინი სტუმარმა ლატრელ სპრიუელმა „დასაჯა", ვისაც პირველ ტაიმში ქულაც არ გაეკეთებინა. მესამე მეოთხედის ერთ, წუთ-ნახევრიან მონაკვეთში სპრიუელმა ზედიზედ სამჯერ ივაჟკაცა გარღვევაზე და სულ თორმეტწუთეულში 15 ქულა გააჩერხა.

მესამე მეოთხედში ყველაფერი გადაწყდა და ნიუ იორკმა მეორე მატჩშიც გამარჯვება მოიპოვა.

ერთ დროს „ბოსტონ სელტიქსი" უძლიერესი გუნდი იყო და 60-იან წლებში ლამის მარადიული ჩემპიონიც გახლდათ. „კელტებს" 16-ჯერ მოუგიათ ჩემპიონატი და ბოლოს ეს 1986 წელს მოხდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გუნდმა ნახა, როგორია ცხრილის ფსკერზე ყოფნა, ერთი სეზონი ლიგის უარესი გუნდიც გახლდათ, მაგრამ ახლა „ბოსტონი" ერთი შეხედვით აღმავლობის გზაზეა. გუნდმა მოიგო საწყისი ორი თამაში, რაც ბოლო რვა წელია, არ ღირსებია, ანუ მას შემდეგ, რაც კალათბურთს გამოეთხოვა დიადი ლარი ბერდი. წინა დღით „ბოსტონი" ტორონტოში თამაშობდა და იქ „რეპტორზი" იმსხვერპლა, იმ თამაშიდან ერთი დღის შემდეგ კი შინ დედაქალაქელებს დახვდა და დამაჯერებლად მოუგო. 11 ქულის სხვაობით გამარჯვება თითქოს ბევრი არაფერია, მაგრამ „სელტიქსი" პირველი წუთებიდან დაწინაურდა და ახლოს არ გაიკარა ვაშინგტონელი „ჯადოქრები". მშვენიერ ფორმაში არიან „ბოსტონის" ლიდერები და მრავლისმნახველ გულშემატკივარს ბევრს ჰპირდებიან. 60-იანი წლების დიადი „ბოსტონის" შემქმნელი რედ აუერბახიც, რომელიც ახლა 82 წლისაა და გუნდის ერთ-ერთი მაღალჩინოსანია, ვერ მალავს აღფრთოვანებას, როცა ახალგაზრდა ბიჭების თამაშს უყურებს. ახალი ერა იწყება „ბოსტონში", ამბობს დიდი რედი.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — ვანკუვერი. შაკილ ონილი (№34) ვანკუვერელ ბრაიანტ რივზს გასცდა

REUTERS კარდიფიდან



აჰ უკვე ექსჩემპიონებს, სამხრეთაფრიკელებს ბრინჯაოც ახარებთ

# რაგბი მსოფლიოს ჩემპიონატი

მესამე ადგილისთვის

4 ნოემბერი

კარდიფი. „მილენიუმი". 68 000 მაყურებელი

## სამხრეთ აფრიკა 22(16)
## ახალი ზელანდია 18(12)

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პოლსი, ფლეკი, მალერი, ტერბლანში, პონიბალი, ვან დერ ვესტჰოიზენი (კაპ.), ა. ვანტერი, ვოსი (კრიუგერი 74), ერასმუსი, ენდრიუსი (ვან დენ ბერგი 66), ოტო, ვიზაჟი, დროცკე (როსოუ 75), დიუ რანდტი (ლე რუ 49)
1ლ — პოლსი (27)
1გ — ჰონიბალი
3ს — ჰონიბალი (17, 37, 47)
2ა — მონტგომერი (12, 75)
ახალი ზელანდია: უილსონი, უმაგა (ალატინი 41), კალენი, იერემია, ლომუ, მერთენსი, მარშალი, კრონფელდი, რენდელი (კაპ.), ტორნი (მიკა 65), უილისი, მაქსველი, მეუვსი, ჰემეტი (ოლივერი 70), დოუდი (ჰოფტი 50)
6ს — მერთენსი (10, 25, 32, 40, 52, 67)
მსაჯი: პ. მარშალი (ავსტრალია)

REUTERS სტამბოლიდან



## ხარობს გალათა და... კაპონე

ხარობს მთელი გალათა, ხარობს მთელი ოსმალო. ხარობს ბრაზილიელიც, გვარსახელად კაპონე, ამჟამად „გალათასარაის" მცველი. მაშ, ხუმრობაა? მისმა გუნდმა „მილანი" ჩემპიონთა ლიგიდან მიაბრძანა, თავად კი უეფას თასისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



## პამელა ჯდება

ენბიეი გახურდა და ათასგვარი გასართობი რამეების ვარსკვლავებმაც თამაშებზე იწყეს დენა. ლოს ანჯელესის ახალთახალ „სტეიპლს სენთერის" დარბაზში „ლეიკერსი" „ვანკუვერ გრიზლიზს" ეთამაშება და მსახიობი პამელა ლიც წლიური აბონემენტით დაჯავშნულ ადგილას ჯდება.

## ღარიბი ბიჭი ვიყავი...

პანამაში დიდი დაჯილდოება. იქაური პრეზიდენტი მირეია მოსკოსო ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს — მანუელ ამადორ გერეროს მედალს გადასცემს... ბეისბოლისტ მარიან-რივერას. რივერა „ნიუ იორკ იანკზის" პიჩერი გახლავთ და აგერ ახლა, რომ ამ გუნდმა „ატლანტა ბრეივზი" დაამარცხა მსოფლიო სერიაში, გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. პანამელი სერიის უძვირფასეს მოთამაშედაც აღიარეს და სამშობლოს პრეზიდენტმაც ამიტომ მიიწვია თავის სასახლეში. ისე კი სიღარიბეში გაზრდილი ბიჭი ყოფილა რივერა — მეთევზეების პატარა სოფელში აღზრდილა დედაქალაქიდან დასავლეთით.

REUTERS პანამა სიტიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ხვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეძელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli